# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბრძოლის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 2 ოქტომბერი. 2023 წ. №111 (9643) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# დემოკრატია... სისხლით!

## ამერიკა არ პატიობს ღარიბაშვილს იმ ნაბიჯებს, რომელიც გადადგა!..



დეგნანი: ბატონო პრემიერო, თქვენ გაქვთ კარგი შესაძლებლობა, აღადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთი მთლიანად არის დაკავებული უკრაინით, მათ ახლა თქვენი თავი არ აქვთ და თქვენ შეგიძლიათ ეცადოთ, დაიბრუნოთ ტერიტორიები. ჩვენ მხარს დაგიჭერთ.

ღარიბაშვილი: ბოდიშს ვითხოვ, მაგრამ რუსეთი, თუნდაც დაჭრილი, თუნდაც ბეჭებზე დაცემული, ცალი ხელით შეძლებს დაბომბოს, მაგალითად, თბილისი!



დეგნანი: არაუშავს, ჩვენ შევაჩერებთ.

ღარიბაშვილი: მაგრამ, ხალხი?

იხ. 4 გვ.

დეგნანი: დემოკრატიისთვის ბრძოლა უსისხლოდ არსად არ მიმდინარეობს...

**ახალი სახელმწიფო გადატრიალების პირისპირ**

## ჩაშლა – არჩაშლა! საკითხავი, აი, ეს არის!

FRANKFURTER BUCHMESSE



3

## ბოიკოტი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ზნეობრივად აკნინებს!

### ირაკლი ღარიბაშვილი:

# უიმედობისა და უპერსპექტივობის დროს ბიძინა ივანიშვილმა გააერთიანა საზოგადოება და...

**2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნები ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად იქცა, ქართველმა ხალხმა ნდობა გამოუცხადა ამ ისტორიული გამარჯვების მთავარ შემოქმედს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც დემოკრატიულად შეცვალა ავტოკრატიული, ანტიეროვნული, ხალხის მჩაგვრელი რეჟიმი და სათავე დაუდო ქვეყნის განვითარების სრულიად ახალ ეტაპს,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

ღარიბაშვილის თქმით, სრული უიმედობისა და უპერსპექტივობის დროს ბიძინა ივანიშვილმა გააერთიანა მთელი საზოგადოება და ხალხის ასეთმა კონსოლიდაციამ შესაძლებელი გახადა ისტორიაში პირველად ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება.

**„დღევანდელი გადმოსახედიდან ამ გამარჯვების შედეგები თვალსაჩინო და შთამბეჭდავია – ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა უზრუნველყო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ერთადერთი ხანგრძლივი მშვიდობის პერიოდი, გავატარეთ მასშტაბური ეკონომიკური და სოციალური რეფორმები, ხელი შევუწყვეთ დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, გადავდგით მნიშვნელოვანი ნაბიჯები ქართველი ხალხის ისტორიული მისწრაფების – ევროკავშირში გაწევრიანებისკენ. ჩვენ ვაგრძელებთ ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაციის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, განვითარების პროცესს და კიდევ უფრო ამბიციური მიზნებისაკენ ვისწრაფვით. მთელი ამ დროის განმავლობაში ჩვენ ძალას გვაძლევს ხალხის უდიდესი ნდობა და მხარდაჭერა. დღეს, კიდევ ერთხელ, მადლობა მინდა გადავუხადო „ქართული ოცნების“ თითოეულ წევრსა თუ მხარდამჭერს, მთელ ჩვენს საზოგადოებას. ქართული სახელმწიფოს ძალა სწორედ ხელისუფლებისა და ხალხის ერთობაშია და მჯერა, რომ ეს ერთიანობა საბოლოო გამარჯვებას მოუტანს ჩვენს ქვეყანას. პირველი ოქტომბრის გამარჯვების საბოლოო მიზანი ქვეყნის გაერთიანებაა“.**

### კახა კალაძე:

# გამარჯვება არის იქ, სადაც სიმართლე და ერთიანობაა!

**პირველი ოქტომბერი გამორჩეული თარიღია ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ამ დღეს გაიმარჯვა ქართველი ხალხის ნებამ და სურვილმა, ებრძოლა უკეთესი მომავლისთვის და ეშენებინა სახელმწიფო, სადაც მთავარი და უმთავრესი ადამიანი და მისი უფლებების დაცვაა,** – ამის შესახებ თბილისის მერი კახა კალაძე სოციალურ ქსელში წერს.

**„ამ გამარჯვებაში უდიდესია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის როლი, რომელმაც შიშსა და უიმედობაში მყოფ საზოგადოებას დაანახა გზა და მისცა რწმენა იმისა, რომ ვერანაირი ავტორიტარული რეჟიმი ვერ აღუდგება წინ ხალხის ნებას. გამარჯვება არის იქ, სადაც სიმართლე და ერთიანობაა. სწორედ ეს არის ძალა, რასაც ყოველთვის ეყრდნობოდა და ეყრდნობა „ქართული ოცნება“. პირველ ოქტომბერს ვულოცავ „ქართული ოცნების“ თითოეულ წევრს, ჩვენს მხარდამჭერებს. ვულოცავ ყველას, ვინც დღესაც იბრძვის საქართველოს მშვიდობიანი მომავლისთვის, ქვეყნის განვითარებისთვის და უკეთესი ხვალინდელი დღისთვის“.**



# შექმნის სალომეა ქართველ ქალთა დიდ გაერთიანებას?

**გალტიისპირეთის ქვეყნებიდან დაბრუნებულმა პრეზიდენტმა შეხვედრები დაიწყო. პირველ ეტაპზე სალომე ზურაბიშვილთან, ათონელის რეზიდენციაში, ქალი დეპუტატები იმყოფებოდნენ. for.ge-ს ინფორმაციით, საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ახალი მოძრაობის დაფუძნება, რომელშიც გაწევრიანებული იქნებიან მანდილოსნები. წამყვანი როლი მოძრაობაში, რომლის ქვეყნის ევროპული არჩევანის გადასარჩენად იქმნება, ექნებათ პრეზიდენტს და ქალ დეპუტატებს. ჩვენი ინფორმაციით, ამ მოძრაობაში ვიხილავთ აო ხელმძღვანელებს, მათ შორის კულტურის სფეროს წარმომადგენლებს.**

„ლელოს“ წევრი **სალომე სამადაშვილი** ადასტურებს, რომ შეხვედრა ნამდვილად ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტთან, სადაც საუბარი შეეხებოდა იმ ნაბიჯებს, რაც შეიძლება, რომ დღეს საზოგადოებამ გადადგას ევროპული მომავლის გადასარჩენად.

**„ჩვენ ვნახეთ პრეზიდენტის ძალიან აშკარა პოზიცია, რაც საჯაროდ დაფიქსირდა, რომ დღეს საფრთხეს ამ ქვეყნის ევროპულ მომავალს უქმნის ხელისუფლება, რომელიც უგულებელყოფს ევროკავშირის მოთხოვნებს. ამიტომ, ცხადია ჩვენი მხრიდან დავადასტურეთ მზადყოფნა, რომ მივიღოთ მონაწილეობა. მე მქონდა ეს შეხვედრა და დანარჩენზე, ალბათ, ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ჩაგაყენებთ საქმის კურსში“**, – ამბობს **სალომე სამადაშვილი**.

გარდა ამისა, სამადაშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტთან ისაუბრა იმაზე, რომ ქვეყნისთვის უმთავრესი ამოცანა არის რუსული ხელისუფლების შეცვლა და ასევე საუბრის თემა იყო იმაზე, რომ ხალხი, ვინც იბრძვის ქვეყნის ევროპული დღის წესრიგის დასაცავად, არ უნდა ხდებოდეს „ქართული ოცნების“ რუსული დავალებებისა და შურისძიების სამიზნე და ამ კონტექსტში ნახსენები იყო ლაზარე გრიგორიადისის საქმეც.

**„იმპიჩმენტზე ნაკლებად ვისაუბრეთ. ყველას ესმის, რომ იმპიჩმენტი „ქართული ოცნების“ მიერ დადგმული მასკარადია, რომელიც მიზნად ისახავს, არ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი. იმპიჩმენტის პროცედურის წარმატებით დასრულება ნიშნავს, რომ შეუძლებელი გახადონ ევროკავშირისთვის, საქართველოს საკითხზე პოზიტიური გადაწყვეტილება მიიღონ. საქართველოს პრეზიდენტის მოტივაცია დღეს არის, რომ ყველაფერი გაკეთდეს, რათა „ქართულ ოცნებას“ არ მიეცეს შანსი, ჩვენმა ქვეყანამ დაკარგოს კანდიდატის სტატუსი“**, – განაცხადა **სალომე სამადაშვილმა**.

* * *

„ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის, **კახა კალაძის** შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტი ოპოზიციის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს არა კანდიდატის სტატუსის ირგვლივ მიმდინარე პროცესების გამო ხვდება, არამედ იმ მიზნით, რომ პარლამენტში მათ პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარი არ დაუჭირონ. კალაძე არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოხდეს, მაგრამ ამასთან, მისი შეფასებით, ეს მას დღევანდელ მოცემულობაში ძალიან რთულად ეჩვენება.

**„რაც შეეხება მის ვოიაჟს, იცით, რომ ეს არის ჩვეულებრივად კონსტიტუციის დარღვევა. სამწუხაროა, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი კონსტიტუციას არღვევს. რეალურად მუშაობა მიდის იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტში მხარდაჭერა არ მოხდეს იმპიჩმენტის განხილვისას, თუმცა ეს ყველაფერი შეფუთულია იმით, თითქოს კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად და ევროინტეგრაციის ამ რთულ გზაზე რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს ხვდება“**, – აღნიშნა **კახა კალაძემ**.

პარლამენტის თავმჯდომარის **შალვა პაპუაშვილის** შეფასებით, პრეზიდენტის ქვეყნის გარეთ გასვლამ მოგვიტანა ერთადერთი შედეგი, როდესაც ერთ-ერთი ქვეყნის ლიდერისგან პირდაპირი მოწოდება მივიღეთ, რომ რუსეთს სანქციები დავუწესოთ. მისივე თქმით, სწორედ ამიტომ არ აძლევდა მთავრობა პრეზიდენტს ვიზიტებზე თანხმობას.

**„არ ვიცი, პრეზიდენტთან რაზე მიდის საუბარი, თუმცა ფაქტია, რომ პრეზიდენტის ქვეყნის გარეთ გასვლამ და შეხვედრებმა ერთადერთი შედეგი რაც მოგვიტანა, ისაა, რომ ერთ-ერთი ქვეყნის ლიდერისგან პირდაპირი მოწოდება მივიღეთ, რომ რუსეთს დავუწესოთ სანქციები. ანუ, საქართველო დავაყენოთ სამხედრო და ეკონომიკური რისკის წინაშე, ეს არის შედეგი იმ ვიზიტების, რომელზეც საუბრობდა მთავრობა და პრეზიდენტს ასეთ ვიზიტებზე თანხმობას სწორედ ამიტომ არ აძლევდა. როგორც ჩანს, მთავრობამ იმის გამოცდილება დააგროვა, რომ შედეგები წინასწარ განჭვრეტადი იყო ასეთი ვიზიტების“**, – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა**.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის განცხადებით, პრეზიდენტი მთავრობას თუ არ ესაუბრება თავისი ვოიაჟის შედეგების შესახებ, ხალხს მაინც აუხსნას, რა წაიღო და რით ჩამოვიდა ვიზიტებიდან.

**„პრეზიდენტს ანგარიში ჩასაბარებელი აქვს არა ნინო ლომჯარიასთან ან ქალ დეპუტატებთან, არამედ ხალხთან. არ ვფიქრობ, რომ ქალ დეპუტატებთან ან ლომჯარიასთან გამართული შეხვედრები საკმარისია. მისი ვოიაჟის ცალკეულ ეპიზოდებზე ჩვენ არაფერი ვიცით. ერთადერთი ვიცით, რომ ლატვიის პრეზიდენტს შეხვდა, რომელმაც შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, რომ საქართველოში გარკვეული პრობლემებია, რომელიც დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას უკავშირდება და სერიოზული ბრალდებებიც წამოაყენა, თურმე რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს საქართველო არ უერთდება. ეტყობა, საერთოდ არ იცის ან სალომე ზურაბიშვილმა განგებ არ ჩააყენა საქმის კურსში, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ სანქციების თავის არიდების არანაირი ფაქტი არ გამოვლენილა“**, – განაცხადა **გია ვოლსკიმ**.

**თამთა ქარჩავა**

# „ეს არის მიზანმიმართულად ჩატარებული კვლევები... ვითომ კოალიციური მთავრობა უნდა შეიქმნას“

## რას ნიშნავს ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით EDISON RESEARCH-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები და რისთვის შეიძლება არჩევნების წინ საზოგადოების აზრის მომზადება ხდებოდეს?

კვლევაში მოცემული პოლიტიკური პარტიების რეიტინგის მიხედვით, კითხვაზე, დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, 5%-იან ბარიერს სამი პარტია, „ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება“ და **გიორგი გახარიას** პარტია „საქართველოსთვის“ ლახავენ.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ გიორგი გახარია კვლევებში მიზანმიმართულად არის შემოყვანილი, რათა შექმნან ილუზია, რომ ხელისუფლება 2024 წელს, ექსკლუზიურად მთავრობის დაკომპლექტებას ვეღარ შეძლებს, ამიტომ ორივე ნაცებსაც და „ოცნებასაც“ გახარიასთან სავაჭრო ექნებათ. მათი აზრით, ოპოზიციას მდგომარეობა იმაზე მძიმედ აქვს, ვიდრე ეს ამ კვლევებით არის მოცემული.

### კვლევაში პასუხები ასე ნაწილდება:




**„ქართული ოცნება**“ – 37%,

„გამარჯვების პლატფორმა“ („ნაციონალური მოძრაობა“) – 22%,

**საქართველოსთვის** – 10%,

„გირჩი მეტი თავისუფლება“,

**„დროა**“ – 4%,

**„ლეიბორისტული პარტია**“ – 4%,

**„ლელო“** – 4%,

**„ხალხისთვის“** (ანა დოლიძე) – 4%,

**„გირჩი“** (იაგო ხვიჩია) – 4%,

**„კონსერვატიული მოძრაობა ალტ-ინფო“** – 3%,

**„მოქალაქეები“** – 2%,

**„ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“** – 1%,

**პატრიოტთა ალიანსი“** – 1%

სხვა – <1%

კვლევის მიხედვით, კითხვაზე, დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, პასუხები ასე ნაწილდება ალოკაციის გარეშე:

**„ქართული ოცნება“** – 25%

**„გამარჯვების პლატფორმა“** – 15%

**„საქართველოსთვის“** – 6,8%,

**„გირჩი მეტი თავისუფლება“,** დროა – 3%,

**„ლეიბორისტული პარტია“** – 2,9%,

**„ლელო“** – 3,9%,

**„ხალხისთვის“ (ანა დოლიძე)** – 2,9%,

**„გირჩი“** (იაგო ხვიჩია) – 2,6%,

**„კონსერვატიული მოძრაობა ალტ**-ინფო“ – 2%,

**„ხალხის ძალა“** – 1,9%,

**„მოქალაქეები“** – 1,2%,

**„ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“** – 0,9%,

**„პატრიოტთა ალიანსი“** – 0,8%,

სხვა – 0,4%,

არ ვიცი/უარი პასუხზე – 31,8%

იხ. 8 გვ.

# თუ რამე დაგავიწყდებათ, ხელმეორედ მოუსმინეთ!

**მეორე ფრონტის გახსნის მსურველთათვის,**

**ლუზერებისთვის,**

**ბანკების დამყაჩაღებლისთვის,**

**შარვალჩახდილთათვის,**

**მოლოტოვის კოქტეილების შემქმნელთათვის,**

**მადამ კუკუებისთვის და მისტერ კუკუნებისთვის,**

**ვანო მერაბიშვილისთვის,**

**დავით კეზერაშვილისთვის,**

**მიხეილ სააკაშვილისთვის,**

**გიორგი ქადაგიძისთვის,**

**ზურა-გირჩი ჯაფარიძისთვის,**

**სალომე ზურაბიშვილისთვის,**

**ნაცებისთვის და**

**ნაცთა ანასხლეტებისთვის მოსასმენი ინტერვიუა მართლაც,**

**სადაც პრემიერ – მინისტრმა ყველა კითხვას ამომწურავად გასცა პასუხი და ვისაც გაგება სურს – გაიგოს!**

**ყურადღებით მოუსმინეთ და ძილის წინ დაიზეპირეთ – ნებისმიერი სახის პროვოკაციის და ქვეყნის არევის მცდელობის შემთხვევაში ყველა სამაგალითოდ აგებთ პასუხს!**

**თუ რამე დაგავიწყდებათ, ხელმეორედ მოუსმინეთ.**

**მერე ხელმესამედ და ასე შემდეგ – ვიდრე არ მიხვდებით, რომ თქვენი მატარებელი დიდი ხნის გასულია სადგურიდან!**



**ბრავო! ირაკლი ღარიბაშვილი!**

**გიორგი მამაცაშვილი**

# ბოიკოტი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ზნეობრივად აკნინებს!

თანამედროვე ჯროზას,
თუ გამოვაკლებთ
ოზას,
და მივუმატებთ
უწუნს,
მივიღებთ
ჯრუწუნ-
ჯრუწუნს...



**რამდენიმე დღეა ვნებათაღელვა არ წყდება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ჩაშლა-არჩაშლის თაობაზე. როგორც ვიცით, წლევანდელი პროგრამა უკვე შედგენილი იყო და სამ ქართველ მწერალს – თამთა მელაშვილს, ეკა ქევანიშვილსა და აკო იაშაღაშვილს – უნდა მიეღო მონაწილეობა. მათი წიგნები გერმანულ ენაზე ითარგმნა.**

მწერალთა სახლს, ახალი დირექტორის დანიშვნისა და კულტურის სამინისტროს პრინციპული პოლიტიკის გამო, მწერალთა და გამომცემელთა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა. მათ შორის არიან ფრანკფურტის წიგნის ფესტივალის მონაწილე ავტორებიც.

ბოიკოტში მყოფმა მწერლებმა უარი თქვეს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მწერალთა სახლის ორგანიზებით ქართულ პროგრამაში მონაწილეობასა და იმ დაფინანსებაზეც, რომლითაც მათი გამგზავრების ხარჯი უნდა დაფარულიყო.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობა რომ რისკის ქვეშაა, ამას ადასტურებს მწერალთა სახლის დირექტორი **ქეთევან დუმბაძე:**

– ყველა ვთანხმდებით, რომ ქვეყნის პრიორიტეტია სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის მწერალთა სახლის მიერ წიგნის საერთაშორისო ბაზრობებსა და ფესტივალებში მონაწილეობის გზით ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია. უაღრესად მნიშვნელოვანია ფრანკფურტის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობა, რათა შენარჩუნდეს გასულ წლებში მიღწეული წარმატება. სწორედ ამ მიზნით ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილია ფინანსური რესურსი, რაც გულისხმობს საგამოფენო სტენდის იჯარის, წარსადგენი წიგნების ტრანსპორტირებისა და სტენდთან მომუშავე მწერალთა სახლისა და წიგნის გამომცემელთა და



გამავრცელებელთა ასოციაციის თანამშრომელთა მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯების ანაზღაურებას.

მიმდინარე წლის 4 სექტემბრამდე ამ პროცესს ხელმძღვანელობდა მწერალთა სახლის მოადგილე, უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელიც იმავდროულად ასრულებდა დირექტორის მოვალეობას. მე იგი არ დამხვედრია სამსახურში, არ ჩავუყენებივარ საქმის კურსში. აქედან გამომდინარე, ჩემთვის, სამწუხაროდ, უცნობი იყო საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების დეტალები. ასევე, უცნობია ინფორმაცია ასოციაციის მიერ ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ. **მწერალთა სახლის ადმინისტრაციამ ორჯერ წერილობით მიმართა დეპარტამენტის ხელმძღვანელს შეეყვიტა შვებულება, რათა გამოცხადებულიყო სამსახურში და საქმის კურსში ჩავეყენებინეთ, რაც მისი მხრიდან იგნორირებული იყო.**

ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის განხორციელების მიზნით და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე ორგანიზაციებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობის და ამ დრომდე ურყევი ტრადიციის გათვალისწინებით, ვთვლიდი, რომ უმოკლეს დროში შევძლებდით ა(ა)იპ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციასა და სსიპ მწერალთა სახლს შორის სათანადო ხელშეკრულების გაფორმებას. მით უმეტეს, რომ ბოიკოტში მყოფი გამომცემლების საჯარო განცხადების თანახმად ისინი არ აპროტესტებდნენ 4 სექტემბრამდე ანუ ჩემს მწერალთა სახლში მოსვლამდე დაგეგმილ პროექტებში მონაწილეობას.

**მწერალთა სახლი აგრძელებს წლების განმავლობაში, დამკვიდრებულ ტრადიციას და ერთგული რჩება ამ გზის. იგი რეალისტურად უდგება ქვეყნისთვის რეპუტაციულად უმნიშვნელოვანეს თემას და თვლის, რომ დღეს, როცა 20 დღეა დარჩენილი ფრანკფურტის ფესტივალამდე იგი ვერ აიღებს პასუხისმგებლობას და ვერ გადაიბარებს საორგანიზაციო საკითხებს. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ მწერალთა სახლის მზაობას კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. მზად ვართ, დღესვე მოეწეროს ხელი ხელშეკრულებას და დღესვე გადმოირიცხოს თანხა ასოციაციის ანგარიშზე, რათა არ შეფერხდეს ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტის განხორციელება.**

**სამწუხაროდ, ასოციაციისგან არ ჩანს ამის მზაობა, რასაც ადასტურებს ამ ხნის განმავლობაში ასოციაციისა და მწერალთა სახლის ყოფილი ხელმძღვანელების 4 სექტემბრამდე ანუ ჩემს დანიშვნამდე, ფრანკფურტის ფესტივალის საქმეებზე პასუხისმგებელი პირების მიზანმიმართული პასიურობა, დუმილი, გამოცხადებული ბოიკოტი და საბოლოოდ სურვილი, მწერალთა სახლის ახალ გუნდს დაჰბრალდეს ფესტივალის ჩაშლის პასუხისმგებლობა. გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება საბოლოოდ მიიღოს და, როგორც ჩანს, მიიღებს გამომცემელთა ასოციაცია, მინიმუმ არაპროფესიონალური და არაკოლეგიალურია. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ეს ქვეყნის და ქართული ლიტერატურის, ავტორებისა და გამომცემლების იმიჯისთვის უკიდურესად დამაზიანებელია.**

**– ამას არავინ დაგიჯერებთ, რომ თითქოს მწერალთა სახლი ცდილობს ფესტივალის ჩაშლას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სიცრუეა და ყველაფერი ხელისგულზე დევს. რაც შეეხება ლიტერატურულ პრემიას „მუზა“, მისი წინასწარ დისკრედიტაციის მცდელობაც ფუჭია, რადგან 100-ზე მეტი განაცხადია შემოსული.**

ამაოდ ცდილობთ შეცდომაში შეიყვანოთ საზოგადოება. საბედნიეროდ, არსებობენ მწერლები და გამომცემლები, ლიტერატორები და, უბრალოდ, მკითხველები, რომლებიც სიხარულით თანამშრომლობენ მწერალთა სახლთან. თქვენ წარმოიდგინეთ, თავად ბოიკოტის განცხადებაზე ხელმომწერებიც კი აგრძელებენ მუშაობას თავიანთ პროექტებზე. ვინც არ ისურვა მწერალთა სახლთან თანამშრომლობა, მან თავად მიიღო წასვლის გადაწყვეტილება.

ვიყოთ ბოლომდე გულახდილები და ხმამაღლა ვთქვათ ისიც, რომ მწერლების და გამომცემლების ნაწილმა, მავანთა ზეწოლის შედეგად, თქვა უარი ბაზრობაში მონაწილეობაზე.

4 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე შუალედში და შემდეგაც დროც იყო და საშუალებაც, რომ ეწარმოებინათ მოლაპარაკებები და გაეფორმებინათ კონტრაქტი.

27 სექტემბერს მწერალთა სახლმა მიიღო წიგნის გამომცემელთა ასოციაციის გამგეობის (და არა მწერლებისა და ამ ორგანიზაციის წევრი სხვა გამომცემლების წერილი) ფრანკფურტის პროექტის მწერალთა სახლისთვის გადაბარების თაობაზე. არც ეს სვლა აღმოჩნდა რთული გასაშიფრი, რადგან ვისაც ოდესმე ფესტივალის ორგანიზებასთან თუნდაც გვერდზე ჩაუვლია, ზუსტად იცის, რომ 20 დღეში ამის უზრუნველყოფა პრაქტიკულად შეუძლებელია.

**დღეს მწერალთა სახლი მხარეთა მოლაპარაკებების დასრულებას ელოდება, მთავრობის მიერ ფრანკფურტისთვის გამოყოფილი თანხა კი – გადარიცხვას. ჰოდა, სანამ წინასწარ დასკვნებს გააკეთებთ, აცალეთ მუშაობა იმ ხალხს, ვისაც პროექტის გადარჩენა უნდა.**




# „ბარხატნი სეზონზე“ – ქვეყნის საზიანოდ

**რამდენჯერ გვსმენია** – უკეთური ნაბიჯის გადადგმა პირველადაა ძნელი, თორემ შემდგომ ჩვეულებად ექცევა ადამიანსო. დასანანია, რომ თამარ მეფისა და ქეთევან წამებულის სამშობლოში უარყოფით კონტექსტში საუბარი თანამედროვე ლიდერ მანდილოსანზე გვიწევს, მაგრამ ევროპულ გზაგასაყარზე შემდგარი სახელმწიფოს ფაქტორის გათვალისწინებით, სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას.

სალომე ზურაბიშვილმა თავი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მოიჭრა, როცა საერთაშორისო პრესაში ქმართან – ჯანრი კაშიასთან ერთად დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტზე – ზვიად გამსახურდიაზე აქვეყნებდა პასკვილებს.

როცა პასუხი არ მოვთხოვეთ, მთლად აიშვა და იმდენი მოახერხა, რომ უკვე ქვეყნის მესამე უმაღლეს მთავარსარდალს – მასავით ოდიოზურ ფიგურას და საფრანგეთიდან ჩამომყვან მიხეილ სააკაშვილს მოახსნევინა რამდენიმე თვეში თავი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან, ხოლო ის, რასაც ქართული ოცნების ხელისუფლებას და, მისი სახით, ერს უბედავს, საშვილიშვილო ამაგის წყალში ჩაყრისა თუ უმადურობის კლასიკურ მაგალითად გამოდგება.

დიახ, უთავმოყვარეობის ეტალონია ის პოზა, რომლითაც თავკერძა ფეოდალივით განზე გამდგარი აღნიშნული სუბიექტი კრიჭაში უდგას მთავრობას და ფეხქვეშ თელავს ქვეყნის კონსტიტუციას. მეტიც – ჰყოფნის თავხედობა საიმისოდ, რომ ეგრეთ წოდებულ ხავერდოვან სეზონზე თვითნებური უცხოური გასტროლები მოიწყოს, იქიდან დაბრუნებულმა კი ორბელიანების სასახლეში კოლეგა ქრონიკულ მოღალატეებსა თუ ნულოვანი რეიტინგის მქონე მდედრ პოლიტიკანებს უმასპინძლოს და ათასგვარი სიბინძურისთვის ნიადაგის შესამზადებლად მხოლოდ მტრისთვის გულის მოსაოხებელი შხამიანი ძაფები ხლართოს.

ამოცანა გვეკითხება: საიდან ასეთი ანტიქართველობა? პასუხი ზედაპირზე ძევს – უამრავ ღირსეულ ემიგრანტთაგან განსხვავებით, მან ვერ შეისისხლხორცა ილიასეული ტრიადის – მამული, ენა, სარწმუნოება – მადლი და წინაპართა ძვალთშესალაგში უკვე საკმაოდ ხანგრძლივი მოვლინების მიუხედავად, ვერ იქცა კავკასიელად. ვერც იქცეოდა! ეტყობა, ერთ-ერთი მიზეზი აღზრდასა თუ აღმზრდელებშია, თუმცა ეს სხვა წერილის თემაა, მაგრამ ამით რომ ქართული საქმე ფუჭდება, ფაქტია!

ბუნებრივია, პრეზიდენტის უკიდეგანო ტურისტული, ქვეყნისთვის არაფრის მომტანი წიაღსვლები უნდა აილაგმოს, მით უმეტეს მაშინ, როცა საკონსტიტუციო სასამართლოში იმპიჩმენტთან დაკავშირებით დანიშნული ხვალინდელი პროცესის მიუხედავად, პოლონეთში განავარდება დააანონსა, თანაც ამჯერადაც მთავრობისგან აკრძალვის ფონზე. საინტერესოა, პრემიერს რომ შვილის ამერიკაში სასწავლებლად ჩარტერული რეისით, პენსიონერი მამის დანაზოგით გაცილებისთვის ამუნათებენ, აქაოდა ბიუჯეტის ფულით ისარგებლაო, ახლა რატომ აქვთ პირში წყალი ჩაგუბებული ორთოდოქს ოპოზიციონერებს და არ იკვლევენ, რა სახსრებით დაშტრიალობს აღმა-დაღმა უკვე მათ სტრატეგიულ მეკავშირედ ჩამოყალიბებული მადამ სალომე?

თუ ვინმე შეიცხადებს – მეტისმეტად ხომ არ აზვიადებთ მისი პოლიტიკური ორიენტაციის შეფასებისასო, მაგალითად უსამართლოდ შეწყალებულ ნიკა გვარამიას დავუსახელებ, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ღიად განაცხადა პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმის თაობაზე.

ყოფილ ზონდერპროკურორსა და მედიამენეჯერს არც მარტის ეგრეთ წოდებული საპროტესტო აქციების სიმბოლოდ შერაცხილი ლაზარე გრიგორიადისი დავიწყნია და ახალგაზრდობას მისი „უკანონო პატიმრობის“ შესაწყვეტად აქტიურ მოქმედებებზე გადასვლისკენ მოუწოდა ისევე, როგორც „კრემლისტური რეჟიმის“ გასტუმრებისთვის მომავალ საარჩევნო წელს ბრძოლისკენ.

მოკლედ, პრეზიდენტი გვიცოცხლოს ღმერთმა და რა მოგვაწყენს!..

**გია პლატონიშვილი**

# ამერიკა არ პატიობს ღარიბაშვილს იმ ნაბიჯებს, რომელიც გადადგა!..



რამდენიმე დღის წინ ანალიტიკური ცენტრი „კუბის“ ექსპერტი, ჟურნალისტი ნადანა ფრიდრიხსონი საქართველოს უშიშროების ყოფილ მინისტრს **იგორ გიორგაძეს** შეხვდა.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

## ახალი სახელმწიფო გადატრიალების პირისპირ

**კორ. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა განაცხადა, რომ არის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის საშიშროება. ასახელებენ კონკრეტულ გვარებს, მაგალითად, ვანო მერაბიშვილს, „ქართულ ლეგიონს“, სააკაშვილის დაცვის ყოფილ ხელმძღვანელს ბატურინს და ა.შ.**

**რას ფიქრობთ, მოსალოდნელია საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება?**

**ი. გიორგაძე:** 1992 წელს საქართველო უკვე აშშ-ის იატაკქვეშა პროტექტორატს წარმოადგენდა და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ 1992 წლიდან დღემდე სრულად აკონტროლებს ამერიკა საქართველოს, ხოლო პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის მცდელობები, გაატაროს პოლიტიკა, რომელსაც მოქალაქეების უმრავლესობა უჭერს მხარს, ანაწყენებს ძია სემს. და რა სურს ამერიკას? მას უნდა, რუსეთი გარშემორტყმული იყოს არა მხოლოდ ცნობილი ლაბორატორიებით, არამედ, შურისმაძიებელი რეჟიმებით მთელ პერიმეტრზე.

**კორ.: ახლა მათ უნდათ, რომ დასაჯონ ღარიბაშვილი?**

**ი. გიორგაძე:** აშშ არ პატიობს ღარიბაშვილს იმ ნაბიჯებს, რომელიც გადადგა.

მან უარი თქვა, გაეხსნა მეორე ფრონტი. წარმოიდგინეთ, რამხელა დანაშაულია ეს აშშ-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ!

არ მკითხოთ, საიდან და რატომ, მე თქვენ ძალიან მოკლედ მოგიყვებით საუბრის შინაარსს, რომელიც გაიმართა პრემიერ ღარიბაშვილსა და აშშ-ის ელჩს კელი დეგნანს შორის.

**დეგნანი:** ბატონო პრემიერო, თქვენ გაქვთ კარგი შესაძლებლობა, აღადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთი მთლიანად არის დაკავებული უკრაინით, მათ ახლა თქვენი თავი არ აქვთ და თქვენ შეგიძლიათ ეცადოთ, დაიბრუნოთ ტერიტორიები. ჩვენ თქვენს მხარს დაგიჭერთ.

**ღარიბაშვილი:** ბოდიშს ვითხოვ, მაგრამ რუსეთი, თუნდაც დაჭრილი, თუნდაც ბეჭებზე დაცემული, ცალი ხელით შეძლებს დაბომბოს, მაგალითად, თბილისი!

**დეგნანი:** არაუშავს, ჩვენ შევაჩერებთ.

**ღარიბაშვილი:** მაგრამ, ხალხი?

**დეგნანი:** დემოკრატიისთვის ბრძოლა უსისხლოდ არსად არ მიმდინარეობს.

და ღარიბაშვილი აცხადებს, რომ არ წავა თავისი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, არ გადადგამს ნაბიჯს, რომელიც უკვე შეცდომით გადადგეს და რასაც მოჰყვა სამოქალაქო ომი, ქართველ-აფხაზთა, ქართველ-ოსთა ომი...

თქვენი მონა-მორჩილი იყო მაშინ საქართველოში და შემიძლია გითხრათ, ჩვენ გავიარეთ ყველაზე საშინელი რამ – სამოქალაქო ომი, როცა ქართველები ქართველების წინააღმდეგ იყვნენ...

ჩვენ გამოვიარეთ აფხაზეთის ტრაგედია, ოსეთი, მაგრამ ყველაზე დაუნდობელი იყო სამოქალაქო ომი.

ამიტომაც ამბობს ღარიბაშვილი, ეს არ არის ქართველი ხალხის ინტერესებშიო და... ოპააა, თვითონ წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა იქ.

**კორ.: თქვენი აზრით, მართლა ამისთვის იქმნება „ქართული ლეგიონი“, მართლა შეიძლება მოხდეს მეორე „მაიდანი“?**

**ი. გიორგაძე:** რაც შეეხება „ქართულ ლეგიონს“, ვინც იქ იმყოფება და ამ ლეგიონის ხელმძღვანელი ვინც არის, ისინი ქართველები არ არიან. ისინი ქართული გვარების მატარებელი ნაცისტები და ფაშისტები არიან. არც ერთ მათგანს არ აქვს უფლება, თავიანთ თავს ქართველი უწოდოს. მათ ეს უფლება დაკარგეს მაშინვე, რაც ხელში აიღეს იარაღი ნაცისტების, ბანდერელების სასარგებლოდ. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც დადგნენ იმ ადამიანების გვერდით, რომელთა წინაპრები ანადგურებდნენ ებრაელებს, ბოშებს, სლავებსაც, ამ ლეგიონს ტერიტორიული კუთვნილების გამო ეწოდება „ქართული ლეგიონი“, თორემ ქართული სხვა მათ არაფერი აქვთ. მათ გააჩნიათ ფინანსური და იდეოლოგიური მოტივაცია, მათი ლიდერი თბილისში, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება სამოთახიან ლუქსში და ამ ადამიანებს სურთ, რომ იგი კვლავ დაბრუნდეს ხელისუფლებაში, დაბრუნდნენ ვანო მერაბიშვილისნაირი ადამიანები, რომელიც ამბობდა: ვერ ვხედავ გვამებს, გვამები მჭირდება, გვამები, გვამები.

ამ ინტერვიუს რომ მოისმენენ და წაიკითხავენ საქართველოში, ყველა მიხვდება, რაზე ვლაპარაკობ, ანუ არსებობდა დრო, როცა საჭირო იყო გვამები სააკაშვილის ხელისუფლების მოქმედებების გასამართლებლად.

* * *

ღარიბაშვილის მოქმედების შესაბამისად, რუსეთმა გადადგა საპასუხო ნაბიჯი – პრეზიდენტმა სავიზო შეზღუდვები მოუხსნა საქართველოს მოქალაქეებს, აღდგა ფრენები და უბრალოდ, იდიოტი უნდა იყო, ანდა მტერი იმ ხალხის, რომელთა პრეზიდენტად ითვლები, სალომე ზურაბიშვილი მყავს მხედველობაში, რომელმაც თქვა, ეს მიუღებელია ქართველი ხალხისთვისო. ანუ მილიონი ქართველი არ უნდა ჩამოვიდეს საქართველოში; ისინი ხომ კრემლის იდეოლოგიის მატარებლები არიან, მათ შეიძლება გადატრიალება მოაწყონ და საქართველო, რომელიც ათეული წლებია არსებობს რუსეთში მცხოვრები ქართველების შემოსავლებით, მას ეს არ აინტერესებს. ზურაბიშვილს ყველაფერი კარგად აქვს, შვილები კარგ სამსახურებში არიან,თავად დაფრინავს მთელ მსოფლიოში, რა თქმა უნდა, მას სურს მომავალში პრესტიჟულ საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობა და გავლენიანი პოსტი. მიუფურთხებია ქართველების ბედისთვის და იმაზეც, იქნება თუ არა საერთოდ გადატრიალება...

**კორ.: საერთოდ, როგორ წარმოგიდგენიათ გადატრიალების ჯაჭვი?**

**ი. გიორგაძე:** ჟვანეცკი გამახსენდა: ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მივედით მთავართან... იცით, რაშია საქმე, აქამდე „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მმართველობაში იყო იმით, რომ ხალხს ეუბნებოდნენ: ჩვენ თუ არა, მოვა სააკაშვილი, გინდათ ციხეები, სადაც პატიმრებს აწამებდნენ, გინდათ უდანაშაულო ადამიანების ქუჩებში დახვრეტები?... თუ არა, მაშინ მოგვეცით ხმა. ხალხმაც ასე გააკეთა, მაგრამ რა პრობლემა ექნება ახლა ხელისუფლებას, მით უმეტეს, რომ აშშ მისცემს დასტურს მაიდნის განხორციელებაზე. ჩემი აზრით, ამის ალბათობა 65/35-ზეა, გადატრიალების სასარგებლოდ.

**კორ.: ეს ყველაფერი ევროკავშირში გაწევრების საკითხს დაუკავშირდება, არა?**

**ი. გიორგაძე:** დიახ... ჩვენ ხომ ვცხოვრობთ მართული ქაოსის პირობებში და ახალს ისინი არაფერს მოიფიქრებენ, უკვე გათელილი გზებია, გავლილი ბილიკები, ხალხი, ფული, ყველაფერი გათვლილია, ახლა საჭიროა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება, შედის თუ არა ეს გადაწყვეტილება ამერიკა-ნატოს ინტერესებში, როგორც თქვა ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა და ჩემმა კარგმა მეგობარმა: იქაც მიმდინარეობს ბრძოლა ჭკუასუსტობასა და დემენციას შორის, ამიტომ თუ ყოველივე ეს ჩაჯდება ამერიკის ინტერესებში, რა თქმა უნდა, ეს გადატრიალება მოხდება.

„ქართული ოცნება“ 2012 წელს ხელისუფლებაში მოვიდა სამართლიანობის აღდგენის ტალღაზე და ჩემი პარტიის „სამართლიანობის“ ყველა წევრს, 27 000 ადამიანს, რომლებსაც ჰქონდათ პარტიის ბილეთები, უსიტყვოდ ელოდათ ციხე, არა მხოლოდ მათ, არა მხოლოდ მათ ახლო ნათესავებს, არამედ ყველას, ვინც მხარს უჭერდა ჩვენს იდეას, სამართლიანობის იდეას საქართველოში. ყველა იყო ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ მხარეს და სიხარულით შეხვდნენ იმ ფაქტს, რომ ხელისუფლების ცვლილება მოხდა უსისხლოდ, ეს იყო უდიდესი მიღწევა. მაგრამ სად არის სამართლიანობა? არ არის. 2012 წლიდან ადამიანები ითხოვენ, დაგვიბრუნეთ საკუთრება, რომელიც წაგვართვა სააკაშვილმა. ვისთან მივიდნენ? იმ პროკურორთან, რომელმაც გაიარა სააკაშვილის რეჟიმი და მონაწილეობა მიიღო მის შექმნაში? ამერიკელებმა შესთავაზეს კოჰაბიტაცია „ქართულ ოცნებას“ – არ გააგდოთ, არ გაყაროთ ისინი, დაე, დარჩნენო და ისინიც დარჩნენ სასამართლოებში, სახელმწიფო სამსახურებში, ძალოვან სტრუქტურებში და დღევანდელ ხელისუფლებას დღეს აქვს მხარდაჭერის პრობლემა იმ ხალხისგან, რომელთაც არ სურთ სააკაშვილის მმართველობის დაბრუნება.

...საქართველოსთვის კი საფრთხეს ქმნის არა მხოლოდ „ქართული ლეგიონი“, არამედ, უკრაინაში ჩაბუდებული სხვა საეჭვო გაერთიანებები და ის უამრავი უკრაინელი, რომლებიც არავინ იცის, რა ინტერესებით მოქმედებენ, მათ ქართული ხელისუფლება საქართველოში უხდის უზარმაზარ კომპენსაციებს.

**კორ.: რას ფიქრობს პრემიერი ღარიბაშვილი, ის, როგორც ცნობილია, ივანიშვილის კადრია, მან კარგად იცის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაამართლა ქართველი ხალხის მოლოდინები სამართლიანობასთან დაკავშირებით, რატომ დადგა ის ივანიშვილის ოპოზიციაში?**

**ი. გიორგაძე:** ის არ არის ოპოზიციაში და მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი შეთანხმებული იყო ივანიშვილთან. მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში უფრო მეტად საშიში იქნებოდა ივანიშვილისთვის, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნება.

**კორ.: ივანიშვილს ქართული პოლიტიკის რუხ კარდინალს და ოლიგარქს უწოდებენ, მას აქვს აქტივები საფრანგეთში, ის აშშ-ის კაცია, რის მიღწევა უნდა მას?**

**ი. გიორგაძე:** რას უნდა მიაღწიოს ადამიანმა, რომელსაც ერთ მხარეს უზარმაზარი აქტივები აქვს და მეორე მხარეს ემუქრება განდევნა, არა მხოლოდ „ფორბსის“ ჩამონათვალიდან ამოწერა, არამედ ყველაფრის დაკარგვა და ახლა ამ ადამიანს სურს უპოვარი გახდეს?

**კორ.: მაგრამ ამერიკელები ძალას დაატანენ ივანიშვილს; მისი აქტივები ამერიკელთა ხელშია და ნებისმიერ დროს შეუძლიათ უთხრან: გინდა იყო, როგორც მილიარდერები, რომლებიც სხედან და წრუპავენ ღვინოს თუ ისე, როგორც არის კოლომოისკი? აირჩიე. ივანიშვილი პირველს აირჩევს.**





**დეგნანი: ბატონო პრემიერო, თქვენ გაქვთ კარგი შესაძლებლობა, აღადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთი მთლიანად არის დაკავებული უკრაინით, მათ ახლა თქვენი თავი არ აქვთ და თქვენ შეგიძლიათ ეცადოთ, დაიბრუნოთ ტერიტორიები. ჩვენ მხარს დაგიჭერთ.**

**ღარიბაშვილი: ბოდიშს ვითხოვ, მაგრამ რუსეთი, თუნდაც დაჭრილი, თუნდაც ბეჭებზე დაცემული, ცალი ხელით შეძლებს დაბომბოს, მაგალითად, თბილისი!**

**დეგნანი: არაუშავს, ჩვენ შევაჩერებთ.**

**ღარიბაშვილი: მაგრამ, ხალხი?**

**დეგნანი: დემოკრატიისთვის ბრძოლა უსისხლოდ არსად არ მიმდინარეობს...**

**რუსეთის პირწავარდნილი აგენტი იგორ პანტელეიმონოვიჩი შორიდან გვამუნათებს!**

**ი. გიორგაძე:** მოდით, მას მივანდოთ არჩევანი და ეს დღეც დადგება. მე არ შემიძლია ვიწინასწარმეტყველო მისი მოქმედებები, რადგან მე განაწყენებულიც კი ვიყავი გარკვეული ხანი „ქართულ ოცნებაზე“, მათ 2016 წელს მომიხსნეს ძებნილის სტატუსი და ოთხი წლის განმავლობაში ვაგროვებდი საბუთებს, ვმუშაობდი ადვოკატებთან, რომ პროკურატურას გაეცოცხლებინა ჩემი საქმე. მე მეძებდნენ საქართველოში გამოგონილი შეთქმულების თუ რაღაც აფეთქების გამო და ეს არ ხდებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც მე ვიმყოფები, არის კიდევ 10 000 ადამიანი, რომლებსაც ჯიხურებიდან დაწყებული, მსხვილ ბიზნესებით დამთავრებული, წაართვეს ქონება უსამართლოდ.

დღევანდელი ხელისუფლების გამოსავალი მოსალოდნელი გადატრიალებისგან ძალიან პრობლემურია. ვითარებას ართულებს ის, რომ ხელისუფლებას სახე არ მიუბრუნებია დღემდე მთავარი პრობლემის გადასაწყვეტად და ეს არის სამართლიანობის აღდგენა. წარმოიდგინეთ სახელმწიფო, რომელიც უსამართლო კოორდინატებით არსებობს – მას არ ჰყავს დამცველები არც სახელმწიფოში, არც ხელისუფლებაში, არ ჰყავს ისეთი მხარდამჭერები, რომლებიც პირველ დაძახილზევე გამოვლენ და დაიცავენ. თუ ასეთები იყვნენ, დროთა განმავლობაში მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდება.

**კორ.: აჭარა, რომელიც საქართველოს ნაწილია, ერდოღანის ინტერესების სფეროშია და როცა სააკაშვილს ჰქონდა კონფლიქტი აბაშიძესთან 2004 წელს, მოსკოვს რომ არ შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი, დღეს აჭარა თურქეთის ნაწილი იქნებოდა. თუ დაიწყება სახელმწიფო გადატრიალება, შესაძლებელია თუ არა, რომ თურქები ჩაერთონ საქმეში, მორჩა, ყარსის ხელშეკრულებას ბათილად ვაცხადებთ და აჭარა მშობლიურ თურქეთს დაუბრუნდებაო?**

**ი. გიორგაძე:** ფაქტობრივად, თურქეთი უკვე არის აჭარაში, წარმოიდგინეთ, ბათუმის აეროპორტი თურქეთის ავიახაზების შიდა აეროპორტია. თქვენ ალბათ ნახეთ ბათუმში თურქული რესტორნები, გესმოდათ თურქული საუბარი. თურქებისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, თუ დადგა ხელისუფლების ცვლილების სამოქალაქო ომით ცვლილების ვარიანტი, ისინი იურიდიულად წამოაყენებენ წინადადებას, დაიცვან აჭარის მუსლიმი მოსახლეობა და არა მხოლოდ აჭარის. ამისთვის დიდი მცდელობა არაა საჭირო, იქვე დგას მესამე ქვეითი არმია, საზღვართან.

**კორ.: უკრაინაში მეორე მაიდანი რომ დაიწყო, სამოქალაქო ომიც მოჰყვა ამას, დონბასის ამბები და ა.შ. იგივე შეიძლება მოხდეს საქართველოში, თუ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, აჭარა უცებ გადავა თურქეთის მხარეს.**

**ი. გიორგაძე:** მივმართავ ჩემს თანამემამულეებს: წმინდა ილია მართალი, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისგან წმინდანად შერაცხილი, გახლდათ რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დუმის წევრი და ნახეთ, რას წერდა იგი სტატიაში რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლის ასი წლისთავთან დაკავშირებით. ამ წერილს არ თარგმნიან ქართულად, რადგან რუსულად არის დაწერილი და მე გეკითხებით, მეგობრებო, ბრმები ხართ? ყრუები ხართ? თუკი ჩვენ წმინდა ილია მართლის ჭკუას, გონებას, ნიჭს, ინტელექტს პატივს ვცემთ, მოდით, ვიაროთ მისი გზით. ის ამბობდა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებით, საქართველომ დაისვენა მტრებთან ბრძოლისგან, რუსეთმა დაიცვა იგი, ქართველმა ამოისუნთქა მთელი გულით..

იყო რაღაც გაუგებრობები ურთიერთობებში, მაგრამ ორი მართლმადიდებელი ერი, საუკუნეებით ერთად ნაცხოვრები, მთელი ისტორია გადაჭაჯვულია და უცებ... ამერიკელი ბიძია სემი უკეთესია და თურქები ქართველების საუკეთესო მეგობრები არიან?!

**კორ.: თუკი ოდესმე ქართულ-რუსული მოლაპარაკებები დაიწყო, პირველ საკითხად აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხი დაისმება, როგორ მიგაჩნიათ ამ საკითხის გადაწყვეტა?**

**ი. გიორგაძე:** სანამ არ მოხდება საერთოსახალხო და ღრმა ანალიზი ამ საკითხების და განსჯა იმისა, რა მოხდა, რატომ დაესხნენ თავს ქართველები ჯერ ოსებს, მერე აფხაზეთში შევიდნენ ტანკებით, სანამ ჩვენ აფხაზების, როგორც საქართველოს მოქალაქეების წინაშე არ ვაღიარებთ, რომ ჩვენ ვართ მათ წინაშე დამნაშავე, ვერც ამერიკა, ვერც რუსეთი, ვერ დაგვეხმარება.

მოამზადა
**ირანდა კალანდაძემ**
(იბეჭდება შემოკლებით).

# სოხუმი, ცხინვალი: ყარაბაღის გაკვეთილები



**2023 წლის 19 სექტემბერს სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა: აზერბაიჯანის ერთდღიანი სამხედრო ოპერაციის შედეგად არაღიარებული მთიანი ყარაბაღის ხელმძღვანელობა კაპიტულაციას დათანხმდა.**

**შეგახსენებთ კონფლიქტის პრედისტორიას: 1988 წლის 20 თებერვალს აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში მყოფი, უმთავრესად ეთნიკური სომხებით დასახლებული მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის დეპუტატთა საბჭომ სსრკ-ის ხელმძღვანელობას, სომხეთის სსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ-ს მთიანი ყარაბაღის სომხეთისთვის გადაცე-**

# ხელისუფლების გასაგონად და სამოქმედოდ!

**მის თხოვნით მიმართა. ამას ერევანში, ბაქოსა და სტეპანაკერტში მასობრივი საპროტესტო აქციები, ასევე სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობის ურთიერთდარბევები მოჰყვა. 1994 წლისთვის მთიანმა ყარაბაღმა სომხეთთან ერთად ბრძოლის ველზე წარმატებას მიაღწია და დე-ფაქტო დამოუკიდებლობა მოიპოვა, განახორციელა რა დამატებით აზერბაიჯანის კიდევ 7 შიდა რაიონის ოკუპაცია.**

**რას გვასწავლის ყარაბაღის გაკვეთილი?**

**უპირველესად,** მუდმივი არაფერია და დასრულებულად ვერც ერთი მოუწესრიგებელი კონფლიქტი ვერ ჩაითვლება, თუნდაც რომელიმე მხარის პოზიცია გარკვეულ ეტაპზე ურყევად და აბსოლუტურად მომგებიანად გამოიყურებოდეს, სანამ მხარეები ურთიერთმისაღებ კომპრომისამდე არ მივლენ.

**მეორე:** ყარაბაღის შედეგები აიძულებს მოკავშირეებსა და სატელიტებს, გადახედონ რუსეთის, როგორც გარანტის სანდოობას. ყარაბაღის კონფლიქტში ხომ რუსეთი სომხეთისა და სტეპანაკერტის მფარველად მოიაზრებოდა, აზერბაიჯანისთვის კი ანალოგიურ როლში თურქეთი წარმოჩინდებოდა. სახეზეა რეგიონში მსხვილი გეოპოლიტიკური ძვრა, რომელიც თურქეთისა და აზერბაიჯანის მომძლავრების ფონზე რუსეთის გავლენის შემცირებას მოასწავებს.

**მესამე:** ყარაბაღის მაგალითმა გვიჩვენა, რომ სეპარატისტულ კონფლიქტებს გააჩნია ძალისმიერი გადაწყვეტა.

**მეოთხე**: ყარაბაღი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის მნიშვნელოვან სამხედრო, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ-მორალურ პრეცედენტად იქცა იმისა, რომ სახელმწიფომ საკუთარ მიწებზე კონტროლის 30-ზე მეტწლიანი დაკარგულობის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეძლო.

**სოხუმსა და ცხინვალს მართებთ, სათანადოდ შეაფასონ ყარაბაღის პრეცედენტი, მათ შორის სტეპანაკერტის მიერ მისთვის მისაღები პირობებით ბაქოსთან მოლაპარაკების შესაძლებლობის ხელიდან გაშვების სავალალო შედეგები. მათ, სულ მცირე, მართებთ, კარგად დაფიქრდნენ თბილისთან რეალური დიალოგის დაწყებაზე.**

მაგრამ მთავარი გაკვეთილი მდგომარეობს შემდეგში: თუ რომელიმე მხარემ გაცხადებულ მიზანს ვერ მიაღწია (მაგალითად, ვერ მოიპოვა ფართო კონსენსუსური საერთაშორისო აღიარება და უსაფრთხოების მრავალმხრივი გარანტიები), მან გარკვეულ ეტაპზე არსებული უპირატესობა დროულად უნდა დააკონვერტიროს რეალისტურ მომავალში – ანუ, მსოფლიოს კონსტრუქციულობა, ოპონენტებთან მოლაპარაკების სურვილი უჩვენოს, მით უფრო, როცა ძლიერის პოზიციაში იმყოფება. ყარაბაღის შემთხვევაში საბედისწერო შეცდომად იქცა ერევნისა და სტეპანაკერტის მიერ შესაძლებლობათა იმ დროის დაკარგვა, როცა ბაქო ათწლეულობით ითხოვდა ყარაბაღს მიღმა ოკუპირებული 7 რაიონიდან თუნდაც ნაწილის დაბრუნებას, რათა მხარეებს ნდობის აღდგენის პროცესი და რეალური მოლაპარაკებები დაეწყოთ. ვერასოდეს გავიგებთ, შეძლებდნენ თუ არა მხარეები ყარაბაღის საკითხში კომპრომისის მიღწევას ურთიერთდათმობების საფუძველზე, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ერევნისა და სტეპანაკერტის მხრიდან ამ დისკურსში რეალური ძალისხმევა არ გვინახავს. სამაგიეროდ ზუსტად ვიცით, რომ სტეპანაკერტი თავის უსაფრთხოებას რუსეთს უკავშირებდა და სტატუს-კვოს გრძელვადიან შენარჩუნებას იმედოვნებდა, დარწმუნებული იყო რა, რომ დიადი რუსეთი ყარაბაღს არასოდეს დათმობდა.

ყველაფერი ერთიანად შეიცვალა მას შემდეგ, რაც 2020 წელს 44-დღიანი ომის შედეგად ბაქომ ოკუპირებული ტერიტორიის 3/4-ზე კონტროლი აღიდგინა. უკვე მაშინ გახდა ნათელი, რომ ამ პროცესს ვერც სომხეთი შეაჩერებდა, ვერც რუსეთი, თუმცა აზერბაიჯანის პოზიცია აღარ ითვალისწინებდა საგნობრივ მოლაპარაკებებს და ფაქტორივად, უპირობო კაპიტულაციის შესახებ ულტიმატუმით შემოიფარგლებოდა.

და აი, 35 წლის შემდეგ სტეპანაკერტი იძულებული გახდა, თეთრი ბაირაღი გადმოეფინა. ამგვარად, პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთი უძველესი კონფლიქტი ერთ-ერთი მხარის სრული გამარჯვებით დასრულდა, ყარაბაღმა კი აზერბაიჯანში ავტონომიური სტატუსი საბოლოოდ დაკარგა და მთლიანობაში, ყარაბაღში სომხური უმრავლესობის მომავალი საკმაოდ შემაშფოთებლად გამოიყურება.



**მნიშვნელოვანია, რომ აზერბაიჯანმა ქვეყნის მთლიანობა როგორც გლობალურ მასშტაბში, ისე რეგიონში რუსეთის ზოგადი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური დასუსტების კონტექსტში აღიდგინა და ეს პროცესი მოსკოვის მზარდი საერთაშორისო იზოლაციის ფონზე მხოლოდ დააჩქარდა.**

ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, „ყარაბაღიზაციის“ №1 კანდიდატი დნესტრისპირეთია: რუსეთმა, ისევე, როგორც ყარაბაღის შემთხვევაში, უკრაინის გავლით მოლდოვისკენ სახმელეთო დერეფნის გაჭრა ვერ შეძლო, რაც უკვე უახლოეს მომავალში ტირასპოლს გაცილებით უფრო დამთმობს გახდის. ამდენად, მოლდოვაში სრულიად მიღწევადია რეინტეგრაციის მშვიდობიანი სცენარი. განსხვავებით საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებისგან – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისგან, რომელთაც რუსეთი უშუალოდ ესაზღვრება და შესაბამისად, მარტივად აგრძელებს კონფლიქტების ცეცხლის გაღვივებას თბილისისადმი უნდობლობისა და მტრობის მაღალი ტემპერატურის შენარჩუნებაზე ზრუნვით. თუმცა მზარდი დაღმასვლისა და ყოველმხრივი დეგრადაციის პირობებში სოხუმისა და ცხინვალის მიმართ კრემლის პოლიტიკა შეიძლება, მოულოდნელად რადიკალურად შეიცვალოს, ან სულაც არაპროგნოზირებადი გახდეს.

**მართალია, მსგავსი პერსპექტივა ჯერ არ გამოკვეთილა, მაგრამ სოხუმსა და ცხინვალს მართებთ, სათანადოდ შეაფასონ ყარაბაღის პრეცედენტი, მათ შორის სტეპანაკერტის მიერ მისთვის მისაღები პირობებით ბაქოსთან მოლაპარაკების შესაძლებლობის ხელიდან გაშვების სავალალო შედეგები. მათ, სულ მცირე, მართებთ, კარგად დაფიქრდნენ თბილისთან რეალური დიალოგის დაწყებაზე და სწორედ დღეს, როცა რუსეთს უკრაინის ომის გამო ხელ-ფეხი აქვს შეკრული, მსოფლიოს გარკვეული დამოუკიდებლობა, კონსტრუქციულობა, მოლაპარაკების უნარი უჩვენონ, იმის ნაცვლად, რომ გააგრძელონ პოზიციონირება ბრმა იარაღად რუსეთის ხელში საქართველოს დასასჯელად. ესოდენ კომფორტული სასტარტო პოზიცია სეპარატისტებს არასოდეს ჰქონიათ და მაღალი ალბათობით, აღარც მომავალში ექნებათ. ახლა ხომ რუსეთის საგარეო შესაძლებლობები და საერთაშორისო გავლენა სწრაფ დაღმასვლას განიცდის და როცა მისი პოტენციალი მინიმალურ ზღვარს მიუახლოვდება, მოსკოვისა და მისი მარიონეტების აზრი აღარავის დააინტერესებს.**

რა თქმა უნდა, კრემლი ჯერ იმდენად არ დასუსტებულა, რომ სეპარატისტებს ფსკერისკენ მიმავალი გემიდან ჩახტომისა და თბილისთან პოლიტიკური დღის წესრიგის განხილვის ნება დართოს, მაგრამ შექმნილ კონფიგურაციაში თუნდაც ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ საკითხებზე დიალოგის დაწყება სრულიად შესაძლებელია. ამაზე უარის თქმის ფორმალური და ყალბი საბაბი – აქაოდა, საქართველოსთან ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმება არ გაგვაჩნიაო, გვერდზე უნდა გადაიდოს, რადგან საქართველომ 2008 წლის ომის შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ცალმხრივად აიღო ვალდებულება, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ძალა არ გამოიყენოს და ამ დრომდე რეგულარულად ადასტურებს სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრის კურსისადმი ერთგულებას.

მათ კი, ვინც ყარაბაღის შეცდომების გამეორებას აპირებს, უნდა ახსოვდეთ, რაოდენ სავალალო შედეგი მოაქვს რუსეთისადმი ბრმა რწმენას, მოსკოვისთვის აბსოლუტური კონტროლის დელეგირებასა და კონსტრუქციულობაზე სუიციდალური სიჯიუტით უარის თქმას.

**რაჟდენ ქაჯაია**



# თბილისობის მთავარი მოვლენა

**სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში 2023 წლის საპატიო თბილისელები დაჯილდოვდნენ.**

დაჯილდოების ცერემონიაზე შეკრებილ საზოგადოებას თბილისის მერმა სიტყვით მიმართა და 26 საპატიო თბილისელს ახალი სტატუსი მიულოცა. კახა კალაძემ თითოეულ მათგანს თბილისის სიმბოლური გასაღები და სიგელი გადასცა.

## თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება 26 ადამიანს მიენიჭა

მიმდინარე წელს თბილისის საპატიო მოქალაქეობა მიენიჭათ – **არჩილ ხომასურიძეს** (რეპროდუქტოლოგი, ენდოკრინოლოგი, აკადემიკოსი); **ჟანრი ლოლაშვილს** (თეატრისა და კინოს მსახიობი, მხატვარი, საქართველოს დამსახურებული არტისტი); **ნუგზარ უგრეს** (ექიმი, პედიატრი); **ალექსანდრე კოტორაშვილს** (ფოტორეპორტიორი); **რამაზ გახოკიძეს** (მეცნიერი, პედაგოგი, ქიმიკოსი); **გია გაღაშვილს** (მუსიკოსი, ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნე); **გურანდა გრიგორაშვილს** (ექიმი, მეცნიერი და მკვლევარი); **ნანა ფაჩუაშვილს** (თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი); **თამაზ მაღლაკელიძეს** (ექიმი-პულმონოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი); **ამირან ქორიძეს** (ექიმი, მეან-გინეკოლოგი, მეცნიერი); **გურამ ახალაიას** (მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე); **მურმან ჯინორიას** (თეატრისა და კინოს მსახიობი); **ლია სტურუას** (პოეტი); **ლეო ანთაძეს** (თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი); **იმედა კახიანს** (კინომსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი); **იამზე დოლაბერიძეს** (მოცეკვავე, საქართველოს სახალხო არტისტი); **ლევან ლაღიძეს** (მხატვარი); **დავით მაღრაძეს** (პოეტი, საზოგადო მოღვაწე); **რადიშ თორდიას** (მხატვარი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო მხატვარი); **ავთო მახარაძეს** (თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი); **ზურაბ ლეჟავას** (სპორტსმენი, მწვრთნელი, კარატეს ქართული სკოლის ფუძემდებელი); **მანანა ახმეტელს** (მუსიკათმცოდნე, პედაგოგი); **მამუკა ჩარკვიანს** (მუსიკოსი, კომპოზიტორი); **ევა გაგალაშვილს** (მხატვარი, მწერალი); **რევაზ არველაძეს** (ენერგეტიკოსი, ინჟინერი, ტექნიკის მეციერებათა დოქტორი); **ზაზა ავალიანს** (ექიმი-ფთიზიატრი).

**„დღეს მეექვსედ მაქვს პატივი, თქვენთან ერთად ქედი მოვიხარო მათ წინაშე, ვინც საკუთარ ქვეყანასა და ქალაქს ცხოვრება მიუძღვნა, ვისი ამაგის აღნიშვნაც ჩვენი ვალია, ვისაც მადლობა უნდა გადავუხადოთ და თბილისის საპატიო მოქალაქედ დავასახელოთ. მოდით, ერთად ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქზე, ვიფიქროთ მის მომავალზე, შევეცადოთ და შევძლოთ მისი საუკეთესო სახით ტრანსფორმაცია. მესმის, რომ არსებობს სირთულეები და გამოწვევები, მაგრამ მერწმუნეთ, ერთად დგომით შესაძლებელია, ჩვენი ქალაქი კიდევ უფრო გავალამაზოთ“**, – თქვა კახა კალაძემ.

# „დმანისობა“, დიდებული წარსულისა და აწმყოს ადგილის მკვიდრთა ზეიმი!

**ადამიანის უძველესი წინაპრების „ზეზვასა და მზიას“ სამშობლოში, 26 სექტემბერს, მორიგი „დმანისობა“ გაიმართა. ეს იყო წარსულისა და დღევანდელობის თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელმაც ჯადოსნური კავშირი დაამყარა ღონისძიების ორგანიზატორებს, შემოქმედ კოლექტივებსა და სტუმრებს შორის და მრავლისმეტყველი აღმაფრენა მიანიჭა მათ.**

გრძელი და საინტერესო იყო ღონისძიების პროგრამა, – სპორტული შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოში, მკლავჭიდში, დოღში; კონკურენცია საუკეთესო პავილიონის მოწყობასა და ინდმეწარმეთა ნახელავებს შორის; ხალ-



ხური სიმღერები და ცეკვები, ზღვა ხალხის შეხვედრები ლოკალურ მოედნებზე; გულთბილი მილოცვები და საუკეთესო სურვილები ნაცნობ-მეგობართა შორის.

ზეიმს საინტერესო ელფერს სძენდა მრავალეროვანი დმანისისა და მეზობელი მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობა, მათ მიერ მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენება. სანახაობებით იხიბლებოდა ქალიც და კაციც, დიდიც და პატარაც, სტუმარიც და მასპინძელიც.

ღონისძიების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილი იქნა დმანისის კულტურის სახლისა და დედაქალაქის ახალგაზრდული ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლების მონაწილეთა მიერ. მათი მაღალი შემსრულებლობა ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა, მაგრამ მაყურებელი მაინც მისი გაგრძელების სურვილითა და მიღებული ხიბლის უსასრულობისთვის იყო განწყობილი.

მრავალმხრივი აღმოჩნდა ზეიმის ოფიციალური ნაწილიც. შეკრებილთა წინაშე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ დმანისის მუნიციპალიტეტის მერი **კობა მურადაშვილი,** დმანისის ეპარქიის წინამძღვარი **მეუფე ზენონი,** ქვემო ქართლის გუბერნატორი **გიორგი დოხტურიშვილი,** პარლამენტის წევრი ქვემო ქართლიდან **გოგი მეშველიანი,** დმანისის საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**.

დამსახურების აღიარებად და გულუხვობის მაგალითად იქცა დასკვნითი ნაწილი, როდესაც ფასიანი საჩუქრებითა და ფულადი პრემიებით აღინიშნა იმ ადამიანთა ღვაწლი, რომლებმაც უანგარო შრომა გაიღეს ადამიანთა სულიერი, ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური განვითარებისთვის.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ერთობლივი გადაწყვეტილებით დმანისის ეპარქიის წინამძღვარი მეუფე ზენონი დაჯილდოვდა დმანისის სიონის სიმბოლური ნამუშევრით. ამას მოჰყვა დმანისის საპატიო მოქალაქეების არჩევა, რომლის მატარებლებიც იქნებიან არქიმანდრიტი **დიონისე გვიმრაძე** და ქართულ-აზერბაიჯანული ეთნოგრაფიის მკვლევარი **საზედ აბდულაევა.** საპატიო სიგელებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, მსოფლიოს ჩემპიონატებში გამარჯვებული სპორტის ოსტატები, ხელოვნების, სოფლის მეურნეობისა და ადმინისტრაციული ორგანოების წარჩინებული მუშაკები.

საყურადღებო მოვლენად იქცა რესპუბლიკური მნიშვნელობის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან „დმანისობისადმი“ გამოჩენილი ყურადღება. საქართველოს საპატრიარქოს „ჩოხოსანთა საზოგადოებამ“ საზოგადოების ახალ წევრებად აირჩია ცნობილი ისტორიკოსი ჯუმბერ კოპალიანი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერი კობა მურადაშვილი, ფოლკლორულ ანსამბლ „შგარიდას“ ხელმძღვანელი **გურგენ გურჩიანი** და მრავალმხრივ წარმატებული პედაგოგი ეკა ოქრიაშვილი. საზოგადოების თავმჯდომარემ **ზვიად სეხნიაშვილმა** ახლადარჩეულ წევრებს შესაბამისი მოწმობები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

წლევანდელი „დმანისობის“ მონაწილენი, გვიან საღამოს, დიდად გულანთებულნი და თვალებგაბწყინებულნი, კულტურის სახლის ბაღიდან მიმდებარე ქუჩებში, ნელ-ნელა, ნიავის მსგავსად შეიჭრნენ და გარემოს თანმდევი სითბო მოჰფინეს, თავად კი სამუდამოდ დაიტოვეს მადლიერების გრძნობა, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიამ, კერძოდ კი მისმა ახალგაზრდა ხელმძღვანელმა, კობა მურადაშვილმა ამ შესანიშნავი ღონისძიებით მიანიჭა.

**რაინდი ასლამაზაშვილი,**

**„ს.რ.“-ის საკ. კორ**



## „შემოდგომის წყალტუბო“

**წყალტუბოში ტრადიციული სახალხო დღესასწაული „შემოდგომის წყალტუბო“ აღინიშნა. ქალაქის მთავარ დღესასწაულთან დაკავშირებით მიმდინარეობდა მრავალი ღონისძიება.** სადღესასწაულო წირვა აღევლინა მაცხოვრის ფერიცვალების ტაძარში. გაიმართა საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონია. დღის ბოლოს კი გალა კონცერტი.

## „გარისობა 2023“

**საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მაჟორიტარი, გოგი მეშველიანი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაულს „გარისობა 2023“ დაესწრო.**

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები. წარმოდგენილი იყო საბავშვო გასართობი პროგრამა, ეთნობაზარი, სახელოვნებო განყოფილების ნამუშევრების, ეთნოგრაფიული და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატების გამოფენა. ასევე, გაიმართა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ტრადიციული კერძების დეგუსტაცია. დღის ბოლოს გაიმართა საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონია და მუსიკალური კონცერტი, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“ და ანსამბლი „ჩვენებურები“.





# მეუფე შიოს წიგნის კურთხევა ეროვნულ ბიბლიოთეკაში



# იცნობდეთ, ღირსი ალექსი სენაკელი (შუშანია)

**პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი ასახავს მე-19 საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამორჩეული მოღვაწის, საეკლესიო მწერლის, ღირსი ალექსი სენაკელის ცხოვრებას.**

წიგნი გამოიცა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და საპატრიარქოს ქართველოლოგიური კვლევის ცენტრის მხარდაჭერით.

ჩვენს ისტორიაში არაერთი ადამიანია, რომელთა ღვაწლი, ჩვენი სამშობლოსთვის თავდადება უფრო მეტ აღიარებასა და დაფასებას იმსახურებს. მათ შორისაც განსაკუთრებულია ღირსი ალექსი სენაკელი (შუშანია), – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში განაცხადა, სადაც საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტის, შიოს წიგნის წარდგენას დაესწრო. მთავრობის მეთაურის თქმით, ღირსი ალექსის მოღვაწეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარს მოიცავს. იმ პერიოდს, როდესაც განსაკუთრებით გაძლიერდა ცარიზმის რუსიფიკაციის პოლიტიკა; ქართული ენის შეზღუდვა, მათ შორის ეკლესიებში; ზოგადად, ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ ბრძოლა.

**„მეუფე შიო, მინდა, დაგიდასტუროთ ჩემი პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო თქვენდამი, რომ პატივი დამდეთ და თქვენი ნაშრომის საზოგადოებისთვის წარდგენაზე მომიწვიეთ.**

**ჩვენს ისტორიაში არაერთი ადამიანია, რომელთა ღვაწლი, ჩვენი სამშობლოსთვის თავდადება უფრო მეტ აღიარებასა და დაფასებას იმსახურებს; მათ შორისაც განსაკუთრებულია ღირსი ალექსი სენაკელი (შუშანია) – გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე და საეკლესიო მწერალი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში სულიერების შენარჩუნებაში, სამონასტრო ცხოვრების განვითარებაში, ქართული ენისა და ეროვნული ფასეულობების დაცვის საქმეში.**

**ღირსი ალექსის მოღვაწეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარს მოიცავს, იმ პერიოდს, როდესაც განსაკუთრებით გაძლიერდა ცარიზმის რუსიფიკაციის პოლიტიკა; ქართული ენის შეზღუდვა, მათ შორის, ეკლესიებში; ზოგადად, ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ ბრძოლა. როგორც ჩვენ მოვისმინეთ მეუფე შიოსგან, ღირსმა ალექსიმ თავისი ცხოვრება სწორედ ეროვნული და საეკლესიო ფასეულობების დაცვას მიუძღვნა. მისი ღვაწლი არაერთი მამულიშვილისათვის იქცა მისაბაძ მაგალითად.**

**მოხარული ვარ, რომ მეუფე შიოს ეს მეცნიერული ნაშრომი ჩვენს თანამედროვეებს უკეთ გააცნობს ჩვენი ისტორიის ამ დრამატულ პერიოდს და მისი ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწის – მამა ალექსი სენაკელის უდიდეს დამსახურებას ჩვენი ქვეყნის წინაშე.**

**მეუფე შიო, კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენი შრომის ამ მნიშვნელოვან შედეგს, კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადაგიხადოთ და გისურვებთ წარმატებებს“**, – განაცხადა პრემიერმა.

მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა, შიომ და ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანე გამრეკელმა.

წიგნის სახელწოდებაა „ღირსი ალექსი სენაკელი (შუშანია)“, რომელიც ეძღვნება ღირსი ალექსი სენაკელის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს. წიგნი ასახავს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამორჩეული მოღვაწის, საეკლესიო მწერლის, ღირსი ალექსი სენაკელის ცხოვრებას.

ალექსი სენაკელი 1852-1923 წლებში მოღვაწეობდა. მონოგრაფიაში შესწავლილია ღირსი მამის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფერო; წიგნი მოიცავს ახლადმიკვლეულ საარქივო მასალას, რომელშიც ასახულია ღირსი მამის ცხოვრების მანამდე უცნობი დეტალები. წიგნი გამოიცა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და საპატრიარქოს ქართველოლოგიური კვლევის ცენტრის მხარდაჭერით. წიგნი პროფესორმა ზაზა აბაშიძემ წარადგინა.

# უკომენტაროდ!

## ფილმ „იარე, ლიზას“ გადაღებასთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროს განცხადება

**გვსურს, გამოვეხმაუროთ ბოლო დროს სხვადასხვა მედიაპლატფორმაზე აქტიურად და მიზანმიმართულად გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას, თითქოს რეჟისორ ნანა ჯანელიძის ფილმის, „იარე, ლიზა“ გადაღება კულტურის ახლანდელმა მინისტრმა, თეა წულუკიანმა „ბრძანა“, ამ სიცრუის ტირაჟირებას სათავე დაუდო სისხლის სამართლის დამნაშავის, ამჟამად პატიმარ მიხეილ სააკაშვილის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულმა მისთვის დამახასიათებელმა პოლიტიკურმა ტყუილმა, – ამის შესახებ კულტურის სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული.**

როგორც უწყებაში აცხადებენ, ფილმები მინისტრის ბრძანებებით არ ფინანსდება.

**„როგორც ჩანს, სისხლის სამართლის დამნაშავეს თავისი მმართველობის ხანაში ერევა ამჟამინდელი მთავრობის მინისტრის მმართველობის სტილი. ასევე, შევახსენებთ ყველა დაინტერესებულ პირს, რომ თეა წულუკიანი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად დაინიშნა 2021 წლის მარტში. კინოხელოვანთა ერთი ჯგუფი, მათ შორის – რეჟისორი ნანა ჯანელიძე, მას დღემდე აკრიტიკებს ეროვნული კინოცენტრის რეფორმის გამო, რომელიც ამ ორგანიზაციის გამჭვირვალობასა და სამართლიანი კონკურსების მოდელის შემუშავებას ისახავს მიზნად. ფილმის – „იარე, ლიზა“ – გადაღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან თავდაპირველად 2019 წელს დაფინანსდა (300 000 ლარი), მოგვიანებით კი კინოცენტრის ხელმძღვანელის – გაგა ჩხეიძის გადაწყვეტილებით, კინოცენტრმა ფილმის გადაღებისთვის უკონკურსოდ გამოყო კიდევ 240 690 ლარი. 2020 წელს, იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას უშუალო ჩარევით, ფილმისთვის დამატებით, ისევ უკონკურსოდ, გამოიყო 1 200 000 ლარი. სულ ფილმის გადასაღებად იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიასა და კინოცენტრის ხელმძღვანელის, გაგა ჩხეიძის, ხელშეწყობით გამოიყო 1 740 690 ლარი“**, – ნათქვამია განცხადებაში.

# „დაფდაფები ღამით“...

## ქუთაისის დრამატულ თეატრში 162-ე თეატრალური სეზონი პრემიერით გაიხსნა

**ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრში 162-ე თეატრალური სეზონი პრემიერით, ბერტოლდ ბრეხტის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „დაფდაფები ღამით“ გაიხსნა. პრემიერას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, ქალაქ ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი, თეატრალური სფეროს წარმომადგენლები და თეატრმცოდნეები ესწრებოდნენ.**

მათივე ინფორმაციით, სპექტაკლი „დაფდაფები ღამით“ საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით დაიდგა. მასში მონაწილეობდა სამი თეატრის შემოქმედებითი დასი: ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის ორკესტრი და ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების თეატრი.

**სპექტაკლის რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილია, მუსიკალური ხელმძღვანელი – დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი, მხატვარი – თეო კუხიანიძე, რეჟისორის ასისტენტი – ეკა სირაძე. მონაწილე მსახიობები: მარიკა სამანიშვილი, ნინო ჭოლაძე, დავით როინიშვილი, აბელ სოსელია, ბაქარ დეისაძე, გელა ებანოიძე, დავით გაჩეჩილაძე, იოანე იმედაძე, ნანა ოქროიანი, თამთა გაბუნია, ნანცო ცხვირაშვილი. მასიურ სცენებში: მანუჩარ ბეგალიშვილი, გიორგი ქართველიშვილი, თინათინ ნემსაძე, ნინო შეყლაშვილი, ზაზა იოსებაშვილი, თეა გეგეჭკორი, ავთო ჩიქვილაძე, სალომე დოხნაძე.**

ბერტოლტ ბრეხტის „დაფდაფები ღამით“ ავტორის ყველაზე ადრინდელი პიესაა. სიუჟეტი ომის დროს გამდიდრებულ ოჯახისა და ომის მსხვერპლ, ვეტერან რიგით მოქალაქეებს შორის დაპირისპირების ფონზე ვითარდება. ავტორი გვიჩვენებს ომის ცუდ და უფრო ცუდ მხარეებს. იმას, რომ აქ გამარჯვებული არავინაა; იმას, რომ ომის ტრაგედია პირად ტრაგედიად იქცევა და პირიქით.



# „პეტრას განძის“ პრეზენტაცია ციხისძირში



**ციხისძირში, პეტრას ციხეზე ახალი სათავგადასავლო თამაშის „პეტრას განძის“ პრეზენტაცია მოეწყო. ის ცნობილი თამაშის ფორტ ბოიარდის ფორმატსა და ლეგენდარული სათავგადასავლო ჟანრის „ინდიანა ჯონსის“ კონტექსტშია შეფუთული.**

თამაში ოქტომბერში გაიმართება, მანამდე კი 64 მონაწილეს შეარჩევენ.

# „აფხაზური ეზო“ ეთნოგრაფიულ მუზეუმში

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისობის დღესასწაულს მასშტაბური ღონისძიებით შეუერთდა. მუზეუმში ყველა ასაკის დამთვალიერებლისთვის საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებები გაიმართა.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით, ეთნოგრაფიულ მუზეუმში „აფხაზური ეზო“ მოეწყო. ღონისძიების ფარგლებში იმართება აფხაზეთის შემოქმედებითი ანსამბლების კონცერტი. მიმდინარეობს დევნილი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიებებს კულტურის მინისტრი, თეა წულუკიანი დაესწრო.



# ეროვნული ბანკისა და სავალუტო ფონდის „ნაზავი სკანდალი“ ჩაიფერფლა!..

## ზოგი ვიცე-პრეზიდენტი უფრო ადრეც უნდა წასულიყო...

**საქართველოს ეროვნული ბანკის ირგვლივ სკანდალი, პრაქტიკულად, დასრულდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის შეჩერების თითიდან გამოწოვილი პანიკაც განეიტრალებულია. სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში საფინანსო სისტემა და სავალუტო ოპერაციები ძველ კალაპოტს დაუბრუნდება. საქმეში უკვე ჩაერთო პრემიერი, რომელმაც მოკლე და მკაფიო გზავნილი გააკეთა. პარალელურად, ფინანსისტებმა და ბიზნეს ასოციაციამაც დაადასტურეს სისტემის მდგრადობა.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში მოქმედებს ერთ-ერთი სამაგალითო საფინანსო სისტემა.

„ეს თვითონ ამერიკელებმა აღნიშნეს, ევროპელებმა და ბრიტანელმა კოლეგებმა, ჩამოსულები იყვნენ რამდენიმე თვის წინ, თქვეს, რომ სამაგალითო სისტემა აქვს აწყობილი მთავრობას. სანქციების დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა, არც ერთი. რაც შეეხება სავალუტო ფონდის პროგრამას, არავითარი სანერვიულო არ არის. ჩვენ გვაქვს მუდმივი კომუნიკაცია სავალუტო ფონდთან. ეს როგორც შეჩერებული პროცესი ასეთი იყო, როცა, მაგალითად, კანონი შევცვალეთ და პირველი ვიცე-პრეზიდენტის ადგილი შემოვიღეთ, მაშინ მოხდა პროგრამის შეჩერება. ახლაც თქვეს, რომ უნდა გავაგრძელოთ კომუნიკაცია. მე ვფიქრობ, ძალიან მალე მოგვარდება აღნიშნული საკითხიც“, – განაცხადა პრემიერმა.

საქმე ისაა, რომ სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის დროებით შეჩერება **ნათია თურნავას** 19 სექტემბრის ბრძანებას არასწორად მიაბეს. რეალურად საუბარია არა სსფ-ის ქვეყნიდან გასვლის გადაწყვეტილებაზე, არამედ პროგრამის დროებით შეჩერებაზე, რომელიც რამდენიმე თვეა ისედაც აღარ მოქმედებს.

ფინანსისტი **გიორგი ცუცქირიძე** ხაზს უსვამს, რომ სპეკულაციის მორიგ თემად ოპოზიციამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დროებით შეჩერებული თანამშრომლობის საკითხი წამოწია.

**„სრული აბსურდი და დიდი ტყუილია, თითქოს სავალუტო ფონდი სებ-ში შექმნილი სიტუაციის გამო აპირებდეს საქართველოდან გასვლას. ისე სურთ წარმოაჩინონ თითქოს სავალუტო ფონდის გასვლა ლამის უკვე დამდგარი ფაქტი იყოს და აპოკალიფსად არის წარმოსახული, რასაც მოყვება საბანკო და მთლიანად ფინანსური ბაზრის კრიზისი, ხოლო საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ვარდნის გამო, კომერციულ ბანკებს შეეზღუდებათ და გაუძვირდებათ საერთაშორისო ბაზრებიდან რესურსების მოზიდვა, რაც თავის მხრივ გააძვირებს რა საბანკო კრედიტებს, ინვესტიციების შემცირებასთან ერთად, ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე, ბიუჯეტზე და ა.შ.**

**ამ დროს რეალურად საუბარია არა სსფ-ის ქვეყნიდან გასვლის გადაწყვეტილებაზე, არამედ დროებით შეჩერებაზე, კიდევ უფრო რომ დავაზუსტო, პროგრამის მეორე მიმოხილვის გადადებაზე, რაც ცნობილი გახდა მიმდინარე წლის ივლისში. სსფ-ის ეს გადაწყვეტილება კი დაკავშირებული იყო ზაფხულში ეროვნული ბანკის ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებთან პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ამას არანაირი კავშირი არა აქვს ყოფილი გენერალური პროკურორის ოთარ ფარცხალაძის დასანქცირებასთან. მით უმეტეს, თავად სავალუტო ფონდს არანაირი განცხადება საქართველოში პროგრამის შეწყვეტაზე არ გაუკეთებია.**

**აქვე დავამატებ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნათია თურნავასა და საქართველოში ევროკავშირის ელჩის, პაველ ჰერჩინსკის შეხვედრის შემდეგ, ჩვენ მოვისმინეთ ელჩის მხრიდან ეროვნული ბანკის საქმიანობის პოზიტიური შეფასება და სურვილი სსფ-ის დროებით შეჩერებული პროგრამის მეორე მიმოხილვის განახლებაზე! აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობს სავალუტო ფონდთანაც, პროგრამის გაგრძელებაზე და ვფიქრობ, თავად სავალუტო ფონდისთვისაც არანაკლებად მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იყოს საქართველოში!**

**აქვე დავამატებდი, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა დღემდე გრძელდება. ამასთან, სსფ-ის ყველა ბოლო შეფასებით, განსაკუთრებით პოსტ-პანდემიური პერიოდის შეფასებისას, მათ შორის 11 მაისს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის დასრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკის სათავო ოფისში ერთობლივი ბრიფინზე ცალსახად იყო აღნიშნული ის დიდი პროგრესი, რაც ქვეყანამ პანდემიურ პერიოდში ეკონომიკური ვარდნის შემდეგ, ეკონომიკის აღდგენა უმოკლეს ვადაში შეძლო. მოგეხსენებათ, ბოლო ორი წელია გვქონდა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, ზრდის მაღალი ტემპი მიმდინარე წელსაც შენარჩუნებულია, ხოლო ყველა ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორი არის მკვეთრად გაუმჯობესებული, იქნება ეს სახელმწიფო ვალი, ბიუჯეტის დეფიციტი თუ საერთაშორისო სავალუტო რეზერვები.**

**მთელი ეს აურზაური გათვლილი იყო საბანკო კრედიტის მომხმარებელ შედარებით გაუთვითცნობიერებელ, გულუბრყვილო ადამიანებზე, რაც როგორც ყოველთვის ნაკლებად გამოუვიდათ“**, – აღნიშნა **გიორგი ცუცქირიძემ**.

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **ლაშა პაპაშვილი** კი აცხადებს, რომ ეროვნული ბანკიდან სამი ვიცე-პრეზიდენტის წასვლა ბანკისთვის რეპუტაციული ზიანის მომტანი არ იყო და რომ ზოგიერთს ეს პოსტი უფრო ადრეც უნდა დაეტოვებინა. პაპაშვილი, რომელიც ამჟამად ციფრული ბანკის ლიცენზიის მიღებას ელოდება, მიიჩნევს, რომ სებ-ის საბჭოს კონკრეტული წევრები ქვეყნის ფინანსური სისტემის განვითარებას აფერხებდნენ.

**„ვიცე-პრეზიდენტების წასვლა არ არის პრობლემა. შეიძლება ზოგი ვიცე-პრეზიდენტი უფრო ადრეც უნდა წასულიყო, ხელს უშლიდა ამ ქვეყნის განვითარებას, როგორც ადრეც ვამბობდი.**

**ზოგადად სკამების დატოვება უჭირთ და როდესაც რაღაცას ვერ აკეთებთ უნდა გაიწიო და დაუთმო სხვას, შეიძლება შენზე კარგები მოდიან.**

**ინსტიტუტისთვის ეს პრობლემა არაა, როცა ვერ ქაჩავ, უნდა წახვიდე. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი სამჯერ შეიცვალა, მერე რა მოხდა? ინსტიტუცია წაიღო? მე წავიკითხე, რომ ეს მიზეზი იყო, თორემ მესტვირიშვილს ისედაც 2 თვე ჰქონდა დარჩენილი და სად მიდიოდა? ვიღაცას უნდოდა, რომ ეთამაშა. გადავდექი და შევეწირე – ეს არის ცუდი თამაში, რაც მე არ მიყვარს. პოპულიზმი დაიტოვონ თავის სახლებში. ჩვენს ქვეყანას სჭირდება გონივრულობა“**, – განაცხადა „ბიზნესმედიასთან“ ინტერვიუში **ლაშა პაპაშვილმა**.

**ბექა დანელია**

# „ეს არის მიზანმიმართულად ჩატარებული კვლევები... ვითომ კოალიციური მთავრობა უნდა შეიქმნას“

(მეორე გვერდიდან)

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ მოცემული კვლევები მთლიან რეალობას არ ასახავს, თუმცა ამ მონაცემებითაც კარგად ჩანს, რომ ოპოზიცია უმძიმეს მდგომარეობაშია. საყვარელიძე ფიქრობს, რომ ამ კვლევებით ფაქტია, რაღაცა სერიოზული მზადდება.

**„საერთოდ ასეა, ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს. ამ კვლევებშიც ეს ჩანს. ვიცით ვისი დაკვეთითაც არის გაკეთებული და მონაცემებიც ამ მიმართულებით არის მოცემული. აქ ბევრი საინტერესო ნიუანსია და პირველ რიგში ის არის საინტერესო, რომ ამ კვლევებში ბოლომდე ტყუილიც ვერ იკადრეს. თუმცა, ამ ნახევრად ნათქვამ სიმართლეში ბევრი მნიშვნელოვანი ტყუილია შემოტანილი. მაგალითად, გამორიცხულია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც დაშლის პირას იმყოფება, 17% ვერაფრით ვერ ექნება. პარტიას რა ლიდერებიც ჰყავს ახლა, ლევან ხაბეიშვილს და გიორგი ვაშაძეს ვგულისხმობ, გამორიცხულია ამხელა პროცენტი ჰქონდეს. მით უმეტეს სადაცაა ნიკა მელია პარტიას დატოვებს და ორად გაიყოფა. ამიტომ ძალიან მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდება ენმ 2024 წლამდე. რაც შეეხება გიორგი გახარიას ფაქტორს, ვფიქრობ, ამ კვლევებში ის სპეციალურად არის შემოყვანილი.**

**გახარიას კოზირი ისაა, რომ მას ხელისუფლების ხმების წაღება შეუძლია. ეს იცის ოპოზიციამ და ასევე იმ დამკვეთებმა, რომლებმაც ეს კვლევა დაუკვეთეს. გახარიასგან განსხვავებით, ოპოზიციის სხვა ლიდერებს და პარტიას ეს არ შეუძლია. ამიტომაც არის, რომ გახარია ამ კვლევებში მთავარი ფიგურანტია. ამ მონაცემებით საზოგადოებას აჩვევენ იმას, რომ შესაძლოა მან 5%-იანი ბარიერი გადალახოს და ვისაც არ გინდათ „ოცნება“ და ნაცები, აგერ გახარია და ხმა მას მიეცითო. არ გამოვრიცხავ, რომ გახარიასთან რაღაცა მოლაპარაკება უკვე დაწყებულია იმისთვის, რომ თუკი ის პარლამენტში შევა და ბარიერს გადალახავს, მან კოალიცია შეუქმნას ოპოზიციას.**

**თუმცა, ის არის საკმაოდ არაპროგნოზირებადი და უცნაური პოლიტიკოსი, ამიტომ მასზე ასე ნდობასაც ოპოზიციას არ ვურჩევ. რა თქმა უნდა, არც ხელისუფლებას, თუმცა არც ისაა გამორიცხული, გახარიამ კოალიცია „ოცნებასაც“ შეუქმნას“**, – ამბობს საყვარელიძე.

პოლიტოლოგი **პეტრე მამრაძე** კი ამბობს, რომ ამ კვლევების ნდობა არ შეიძლება, რადგან 2012 წლის გამოკითხვების მიხედვით, მაშინ „ქრისტიან დემოკრატებს“ უფრო მეტი რეიტინგი ჰქონდათ, ვიდრე **ბიძინა ივანიშვილს** და „ქართულ ოცნებას“. საბოლოო ჯამში კი „ოცნებამ“ „ნაციონალურ მოძრაობასაც“ დამაჯერებლად აჯობა და ხელისუფლებაში მოვიდა. მამრაძე ამბობს, რომ „ედისონ რისერჩის“ კვლევები არჩევნებს არასდროს დამთხვევია, ამიტომ ამ კვლევას თავისი კონკრეტული მიზანი აქვს.

**„სოციალური კვლევებს დაინტერესებული ჯგუფები ისე იყენებენ, როგორც სურთ. ეს კვლევებიც ასეა, რომელშიც კონკრეტული მიზნები იკითხება. ეს სამი პარტია რატომ არის დასმული და რატომ გადაწყვიტეს ასე, ამას თავისი ლოგიკური ახსნა აქვს. აქ აქცენტი კეთდება იმაზე, რომ „ოცნება“ ექსკლუზიურად მთავრობას ვითომ ვერ შექმნის და მას კოალიციური მთავრობის შექმნა მოუწევს. ეს არა მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობასთან“, არამედ გიორგი გახარიასთანაც შესაძლოა სათხოვარი გაუხდეს. შესაძლოა, „ოცნება“ მოსახლეობას გულზე არ ეხატება, მაგრამ გახარია საერთოდ აღარ არსებობს. 10%–ის მისთვის დაწერა, იუმორის ახალი მიმდევრობაა. კაცი საერთოდ არის გამქრალი, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ მონაწილეობს. საიდან იღებს ამ ხმებს? მას ჰქონდა, კი ბატონო, „ოცნებიდან“ წამოღებული ხმები, მაგრამ გაფლანგა ეს ხმები. ახლა ვისი ხმები აქვს? რა გააკეთა, ან რას აკეთებს ისეთს, რომ ამხელა ელექტორატი გაეზარდა? რაც შეეხება ვაშაძის და ხაბეიშვილის რეიტინგს, ნუ, ესეც ხომ ხელოვნურად არის დაწერილი. ვინ არიან ეს ახალგაზრდები, რა რეიტინგი აქვთ? ესენი ხომ სააკაშვილის ელექტორატზე სხედან პირდაპირ, რომელიც კიდევ უფრო ნახევრდება. მით უმეტეს, თუ მელია წავიდა, ის პარტიის ხმების ნაწილს წაიღებს. ამიტომ ეს არის მიზანმიმართულად ჩატარებული კვლევები, სადაც საზოგადოების მომზადება ხდება იმისთვის, რომ ვითომ კოალიციური მთავრობა უნდა შეიქმნას“**, – ამბობს მამრაძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ოპერაცია გაგრძელდება ნაცისტური კიევის სრულ განადგურებამდე!



რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **დმიტრი მედვედევმა** განაცხადა, რომ რუსები ომს უკრაინასთან მის სრულ განადგურებამდე აწარმოებენ.

**„სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ გაგრძელდება ნაცისტური კიევის რეჟიმის სრულ განადგურებამდე და რუსული ტერიტორიების მტრისგან გათავისუფლებამდე“**, – განაცხადა მედვედევმა. რუსეთის ფედერაციის ყოფილმა ლიდერმა მიანიშნა, რომ რუსეთი უკრაინის კიდევ უფრო მეტ ტერიტორიას მალე დაიპყრობს, თუმცა ზუსტად როდის არ დაუკონკრეტებია.

# ბორელის დაუგეგმავი ვიზიტი ოდესაში

**ჯოზეფ ბორელმა** უკრაინის ისტორიულ და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქალაქს მუდმივი რუსული თავდასხმების გამო სოლიდარობა გამოუცხადა

**„ოდესა მშვენიერი ისტორიული ქალაქია. ის ახალი ამბების სათაურებში თავისი ნათელი კულტურისა და სულის წყალობით უნდა იყოს. ამის ნაცვლად ის ახალ ამბებში როგორც პუტინის ომის სამიზნე ხვდება. ევროკავშირი მხარს უჭერს ობიექტების სტაბილიზებას, რომლებიც რუსეთის ბარბაროსული განადგურების შედეგად დაშავდნენ. ერთი წელი გავიდა რუსეთის მიერ დონეცკის, ლუგანსკის, ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქების უკანონო ანექსიიდან. უკრაინას სრული უფლება აქვს თავი დაიცვას რუსული აგრესიისგან და საკუთარ ტერიტორიაზე სრული კონტროლი აღადგინოს“**, – აღნიშნა ბორელმა.





# თეიმურაზ გუგუშვილი

# – უმაღლესი საშემსრულებლო დონის მომღერალი

**ასაკი რომ მხოლოდ რიცხვებია, ეს, მიმდინარე წლის 16 ივლისს ოპერის თეატრში ზურაბ ანჯაფარიძისადმი მიძღვნილ საღამოზე თემურ გუგუშვილის გამოსვლამ დაამტკიცა. როგორც ეტყობა, დრომ ვერაფერი დააკლო 72 წლის მომღერალს. მან მინდიას არია შეასრულა თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიადან“. შესრულება თავისუფალი, დამაჯერებელი და ყოველმხრივ გამართული იყო.**

**ნებისმიერ რეგისტრში ხმა შესანიშნავად ჟღერდა. მის ძლიერ ლირიკულ ტენორს, ნათელი, კაშკაშა შეფერილობის ტემბრი ახლდა. სრულყოფილი სუნთქვა, ლეგატოზე დაყრდნობილი ფრაზირება, მოსასმენად საინტერესოს ხდიდა და მომღერალს სირთულეების იოლად დაძლევის საშუალებას აძლევდა. აშკარად იგრძნობოდა, რომ მაღალი გემოვნების მომღერალი მღეროდა. თუმცა გუგუშვილისგან ეს გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო. იგი ხომ აგერ უკვე 46 წელი დგას პროფესიულ სცენაზე და მსმენელს დიდ სულიერ სიამოვნებას ანიჭებს. ამით მან აშკარად დაამტკიცა, რომ ასაკი მართლაც მხოლოდ რიცხვებია და სხვა არაფერი.**

თემურ (თეიმურაზ) გუგუშვილი 1951 წლის 7 მარტს დაიბადა თბილისში. მამა – აკაკი გუგუშვილი სპეციალობით ეკონომისტი იყო, ხოლო დედა – მარიამ მაისურაძე უზენაეს სასამართლოში მუშაობდა სწავლულ მდივნად.

საშუალო სკოლაში სწავლის პარალელურად ფორტეპიანოზე დაკვრას ეუფლებოდა, პარალელურად თბილისის პიონერთა სასახლეში ცეკვისა და სიმღერის გაკვეთილებს ესწრებოდა. სწორედ აქ ჩაეყარა თემურის შინაგან მოწოდებას საფუძველი ხელოვნებისადმი, კერძოდ სიმღერისადმი. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის პიონერთა სასახლეს უდიდესი წვლილი მიუძღვის არა ერთი ცნობილი ხელოვანის გამომზეურებისა და წარმოჩენის საქმეში. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობას. აქ მოღვაწეობდა ცნობილი საესტრადო ორკესტრი, თავისი შესანიშნავი მომღერლებით, ვაჟთა სახელმოხვეჭილი კაპელა იუზა კუბლაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ინსტიტუტმა უამრავი წარმატებული მომღერალი აღუზარდა ქართულ ხალხურ სიმღერას და ესტრადას. თემური თავიდანვე ერთვება თვითშემოქმედებით საქმიანობაში: მონაწილეობს ინსტიტუტის დრამატული კოლექტივის სპექტაკლებში, მღეროდა ვაჟთა კაპელაში.

საქმისადმი კეთილშობილურმა დამოკიდებულებამ ერთგვარად გამოაწრთო და შეუპოვრობა შესძინა მის ხასიათს. მასში იმძლავრა და გამომჟღავნდა სიმღერისადმი დიდი ინტერესი, გამოიკვეთა ვოკალური შესაძლებლობები და აი, თემურ გუგუშვილი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი ხდება. სიმღერის სწავლას ცნობილ პედაგოგთან ნოდარ ანდღულაძესთან აგრძელებს, იწყება ინტენსიური ძიებისა და სრულყოფისაკენ მუდმივი სწრაფვის წლები. კონსერვატორიის ღია თუ დახურულ კონცერტებსა და მოსმენებზე აშკარად იკვეთებოდა ახალგაზრდა მომღერლის პროგრესი, წინსვლა, პროფესიული ჩვევების გამომჟღავნება. გაორებულს, უნდა გადაეწყვიტა – გაჰყოლოდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიღებულ სპეციალობას, თუ რომანტიკული ხიბლით გაცისკროვნებულ გზას? განგებამ მას მეორე მიმართულებისკენ უბიძგა, რაც უდაოდ სწორი და სრულიად გამართლებული აღმოჩნდა.

კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდია უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს ახალგაზრდა, დამწყები მომღერლების ჩვევების ჩამოყალიბებაში – სცენართან შეგუების, პარტნიორთან ურთიერთობის, ორკესტრთან და დირიჟორთან მუშაობის და თანხვედრის თვალსაზრისით. საოპერო სტუდიის სპექტაკლებში ინტენსიურმა მონაწილეობამ, თემურ გუგუშვილს გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება შესძინა. სწორედ აქ, ერთიან სინთეზში გამოვლინდა მომავალი მომღერლის პოტენციური შესაძლებლობები.

1975 წელს გუგუშვილი ამთავრებს კონსერვატორიას...

რა არის ცხოვრება, რამდენ განსაცდელს არ უმზადებს ადამიანს? ასე მოხდა თემურის შემთხვევაშიც. სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების მეორე დღეს, სრულიად მოულოდნელად, საავადმყოფოში აღმოჩნდა, რამაც რამდენიმე თვით მოწყვიტა მისთვის სანუკვარ საქმეს., სწორედ აქ გამოჩნდა მისი დიდი ნებისყოფა, ბრძოლისუნარიანობა, სულიერი სიმტკიცე და შინაგანი შემართება. ჭირთათმენამ გამოაწრთო მისი ხასიათი, ფარხმალი არ დააყრევინა. გამოჯანმრთელებისთანავე აქტიურად ჩაერთო სასიმღერო პროცესში. ვითარების გამო მისი დებიუტი ცოტა მოგვიანებით შედგა, 1977 წლის 19 ივნისს თემურ გუგუშვილი ქუთაისის ოპერის თეატრში მალხაზის პარტიას მღერის ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“.

აქედან მოყოლებული, მომღერალი წარმატებით აგრძელებს გამოსვლას თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. მისი ხმის ბუნებას და ტემბრს უფრო ლირიკული სახის პარტიები შეესატყვისებოდა. თავდაუზოგავი შრომის შედეგად, მის რეპერტუარში აღმოჩნდა ისეთი რთული საოპერო პარტიები, როგორიცაა: კოტე (დოლიძის „ქეთო და კოტედან“), ნემორინო (დონიცეტის „სიყვარულის ნექტარიდან“), გრაფი ალმავივა (როსინის „სევილიელი დალაქიდან“), ჰერცოგი, დონ კარლოსი (ვერდის „რიგოლეტოდან“ და „დონ კარლოსიდან“), რუდოლფი, პინკერტონი, კავარადოსი (პუჩინის „ბოჰემადან“, „ჩიო ჩიო სანიდან“ და „ტოსკადან“), ცრუ დიმიტრი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვიდან“), ლენსკი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინიდან“), პრინცი (პროკოფიევის „სამი ფორთოხლის სიყვარულიდან“).

1979 წელს თემურ გუგუშვილი უდიდესი წარმატებით გამოდის



მერი დავითაშვილის საბავშვო ოპერაში „ნაცარქექია“, კიკოლას როლში. ამავე წელს იგი გაბედულად შეეჭიდა ისეთ რთულ საოპერო პარტიას, როგორც აბესალომია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“. მომღერლის საშემსრულებლო არსენალში ჩნდება როგორც სასიმღერო სირთულეთა იოლი დაძლევის, ასევე სრული და ფართო დამაჯერებელი ფრაზირების მრავალფეროვანი ჟღერადობის ელემენტები და საშუალებები. თანდათან მისმა ლირიულმა ტენორმა ფერისცვალება განიცადა, უფრო დრამატული სახე შეიძინა. მომღერლის რეპერტუარში შემოვიდა ახალ-ახალი საოპერო პარტიები: რადამესი (ვერდის „აიდადან“), კანიო (ლეონკოვალოს „ჯამბაზებიდან“), ტურიდუ (მასკანის „სოფლის ღირსებიდან“), ტიგრანე (ჰენდელის „რადამისტოდან“), გერმანი (ჩაიკოვსკის „პიკის ქალიდან“), მინდია და არზაყანი (თაქთაქიშვილის „მინდიადან“ და „მთვარის მოტაცებიდან“), ანჯელო (ყანჩელის „და არს მუსიკიდან“), იაკობ ხუცესი (კვერნაძის „იყო მერვესა წელსა“).

რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას დაუღალავი შრომა, ძიება და უდიდესი მონდომება უძღოდა. იგი ჯიუტად მიიწევდა ვოკალური ხელოვნების სრულყოფისკენ. გარკვეული წინააღმდეგობისა და სირთულეების მიუხედავად თეიმურაზ გუგუშვილი 1982-83 წლებში იტალიის ქალაქ მილანის საქვეყნოდ აღიარებული „ლა სკალას“ აკადემიაში გადის სტაჟირებას, სახელგანთქმულ მეცო სოპრანო – ჯულიეტა სიმიონატოსთან **(ამ სტრიქონების ავტორმა 1964 წელს „ლა სკალას“ მოსკოვში გასტროლების დროს, სიმიონატოს მოუსმინა აზუჩენას პარტიაში ვერდის ოპერა „ტრუბადურიდან“).**

იტალიაში სწავლას უქმად არ ჩაუვლია, მას საბოლოოდ ჩამოუყალიბდა საკუთარი საშემსრულებლო მანერა, სასიმღერო ტექნიკის გარდა, დაეუფლა ტესიტურის იოლად დაძლევის მეთოდებს და ხერხებს, იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, კონცერტებზე იგი ხშირად ასრულებდა ტონიოს სიმღერას დონიცეტის ოპერა „პოლკის შვილობილიდან“, სადაც ერთმანეთის მიყოლებით ცხრა ზედა „დო“-ა ასაღები. ამას თემური იოლად ასრულებდა (სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ უდიდესმა ტენორმა ლუჩანო პავაროტიმ სწორედ ამ ოპერით გაიკაფა თავისი სისიმღერო კარიერა ამერიკის შეერთებულ შტატებში).

1984 წლის ნოემბერში გუგუშვილი მოსკოვის დიდ თეატრში მალხაზის პარტიას მღერის ფალიაშვილის ოპერაში „დაისი“. ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკაში“ მთავარი რედაქტორის იური კორევის სტატიაში ვკითხულობთ: „მალხაზის როლში პირველად ვიხილე და მოვისმინე ძალზე არტისტული მომღერალი თემურ გუგუშვილი, რომელსაც არა მარტო ჩინებული ხმა აქვს, არამედ საფუძვლიანად დამუშავებული კანტილენა, მაღალი საშემსრულებლო კულტურა, კარგი სასიმღერო მანერაც. იგი, როგორც მაღალი დონის მომღერალი, იოლად უმკლავდება მის წინაშე წამოჭრილ შემოქმედებით ამოცანებს“.

ოპერის თეატრისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა და პრივილეგია ენიჭება სტაბილური მომღერლის შესაძლებლობებს, ვინაიდან იგი პირდაპირაა დაკავშირებული რეგულარულ საოპერო დადგმებთან და სპექტაკლებთან. ამ მხრივ თემურ გუგუშვილს გამორჩეული ადგილი უკავია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. იგი წლების მანძილზე ღირსეულად, ერთგულად ემსახურებოდა და გვერდში ედგა თეატრს, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მოპოვებულ წარმატებებში.

„მოვალეობის მოხდის მიზნით გამორიცხულია სიმღერა. სცენაზე რომ დადგები, იქ მოვალეობა არ არსებობს. მოვალეობას თუ მოიხდი, ხალხი არ მიგიღებს. სცენიდან ყველაფერი კარგად ჩანს. არის შემთხვევა, ვერ ხარ ისე, რომ კარგად იმღერო, თუმცა მაინც მღერი. ეს ამოუცნობი რამ არის. შიგნიდან ირთვება რაღაც!“ – აცხადებს მომღერალი. ასეთია ნამდვილი შემოქმედის ცხოვრება, ის ხომ თავის თავს არ ეკუთვნის, მას განგების ძალები მართავენო.

საოპერო თეატრი გუგუშვილისთვის ყველაფერია, რომელიც თავის თავში მოიცავს უდიდეს ინტერესს, მოწოდებას და სურვილებს, განწყობას და ცხოვრების მიზანს. შრომას, ძიებას და რაც მთავარია რწმენას. სწორედ ამაშია მომღერლის სტიქია, შინაგანი აღმაფრენა, რაც უცილობლად საკუთარი შემოქმედების ხელწერის საშუალებას იძლევა.

**საერთოდ კამერული რეპერტუარი ითვლებოდა და ამჟამადაც ითვლება ელიტარულ ხელოვნებად. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მომღერალს განსაკუთრებული როლი აკისრია ამა თუ იმ ნაწარმოების მსმენელამდე მიტანის თვალსაზრისით. ეს მხოლოდ სასიმღერო ტექნიკით მდიდარ ხელოვანს ხელეწიფება. ამ სფეროში უდაოდ გამორჩეული როლი გენიალურ ვანო სარაჯიშვილს ეკუთვნის, რომელმაც რომანსი და სიმღერა მსოფლიო საშემსრულებლო დონემდე აიყვანა, რითაც ერთგვარი მყარი ტრადიცია დაამკვიდრა ქართულ მუსიკალურ სივრცეში.**

არიან მომღერლები, რომლებიც მხოლოდ საოპერო რეპერტუარით იფარგლებიან, თემურ გუგუშვილის შემოქმედებაზე უნდა ითქვას, რომ იგი ერთნაირი ყურადღებით ეპყრობა საოპერო და კამერულ მიმართულებებს, რაც ერთგვარად ავსებს და ამრავალფეროვნებს მის შემოქმედებას, ინდივიდუალურობისა და საკუთარი ხელწერის წარმოჩენის საშუალებას იძლევა.

ხელოვანის გზა იითა და ვარდით არაა მოფენილი. მას უდიდესი ბრძოლა, წინააღმდეგობების გადალახვა და დაუღალავი შრომა უძღოდა, რომელსაც თან ახლდა წარმატებები, სიხარული, ამავე დროს იმედგაცრუება და სასოწარკვეთილებაც კი. ყველაფერ ამას თემურმა ღირსეულად გაუძლო, რაც არა ერთი გამარჯვების გარკვეული საფუძველიც გამხდარა. მას ქვეყნიდან გაქცევა არ უცდია, თუმცა შემოთავაზებები საკმაოდ იყო. ამას ხელი არ შეუშლია მისი საგასტროლო საქმიანობისთვის. მომღერალი დიდი წარმატებით გამოდიოდა საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, რაც თავისთავად ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას უწყობდა ხელს.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს გუგუშვილის პედაგოგიური საქმიანობა. უკვე რამოდენიმე წელია იგი თბილისის კონსერვატორიაში მოღვაწეობს, არის ვოკალისტთა კათედრის გამგე, კონსერვატორიის სრული პროფესორი. მის აღზრდილთა შორის არის მსოფლიოში სახელგანთქმული სოპრანო – ნინო მაჩაიძე, მომღერლები: გიორგი ჭელიძე, გიორგი მჭედლიშვილი, ირაკლი მურჯიკნელი...

მას მინიჭებული აქვს საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება, არის - სახელმწიფო, ფალიაშვილის, ანჯაფარიძის და არხიპოვას პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი, ოპერის წინ გახსნილია მისი სახელობის ვარსკვლავი.

**უნდა აღინიშნოს, რომ უიშვიათეს შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მიუხედავად ასაკისა, თემურ გუგუშვილი ჯერ კიდევ მყარად დგას სცენაზე. მის ხმას ოდნავი ხინჯიც კი არ განუცდია, პირიქით, უფრო მეტი შეფერილობა, ტემბრალური მრავალფეროვნება და ახალგაზრდული ჟღერადობა შეიძინა. წარმატება ვუსურვოთ მომღერალს.**

**მოგეხსენებათ; არც ერთ სპეციალობას არ სჭირდება ისეთი სულიერი და მორალური სიმშვიდე, როგორც მომღერალს. ამაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის თემურის მეუღლეს, სპეციალობით მუსიკოსს, ქალბატონ ლამარა გლოველს, სასიამოვნოა, რომ მათ ოჯახს ამშვენებს რამდენიმე თაობა: ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. დაე, იმრავლოს გუგუშვილების ჯიშმა და ჯილაგმა.**



**გელა ქოქიაშვილი,**

**ქართული კულტურის ამაგდარი, მწერალი, პუბლიცისტი, მკვლევარი სიღნაღის საპატიო მოქალაქე**

◉ ლეგიონერი

# კ(ჯ)ვართ-ამაღლება ნეაპოლში



**192 დღე, 23 მატჩი და დაახლოებით 2000 წუთი გრძელდებოდა ხვიჩა კვარაცხელიას საგოლე გვალვა, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა დასრულებულიყო და დასრულდა კიდეც.**

ეს მარადონას სტადიონზე უდინეზესთან სერია ა-ს მე-6 ტურის შეხვედრაში მოხდა, რომელიც ჩვენი თანამემამულის ძალისხმევით ნაპოლიმ 4:1 მოიგო და ლიდერთა ხუთეულში დაბრუნდა.

სტუმართა კარში გატანილი მესამე ბურთი, მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტით ანგარიშის გახსნა (ჟელინსკი), სიმეონესთვის შედეგიანი ასისტენტობის გაწევა და 2 ძელი – ასეთია შეხვედრის გმირის ნაკაიკაცარის მშრალი ჩამონათვალი, რომელმაც ტრიუმფალური გასული სეზონის კვარა გაგვახსენა. სიმბოლურია, რომ მისი ფეერიული თამაში ჯვართამაღლების დღეს დაემთხვა – უნიჭიერესი მარცხენაფლანგელის უამრავ ქომაგს იმედი გაუჩნდა, რომ მათი კუმირი საქმეს ამაღლებული განწყობით გააგრძელებდა და სკეპტიკოსებს საქილიკოს გამოულევდა. საამისოდ განვლილი კვირის მეორე სერია ლეჩეში გველოდა.

### ლეჩე – ნაპოლი 0:4

**პირველი ტაიმი 0:1**

სეზონის აღმოჩენასთან პრინციპული ჯახი თბილისქალაქობას დაემთხვა და კვარა ისე როგორ იზამდა, ეს ფაქტი აქტიურობით არ აღენიშნა მიუხედავად იმისა, რომ გარსიამ ოსიმენი მოედანზე მხოლოდ შესვენების შემდეგ შეიყვანა. თითქოს ამას უცდიდაო, ხვიჩამ თავზე დაასვა ბურთი სნაიპერს და მალე თვითონაც შეცვალეს – ხვალ ხომ ჩემპიონთა ლიგაში რეალს უნდა შეხვდეს.

◉ ვითარება

# ატამანს ნუ აუმხედრდები, ეგორ...



**გიორგი მიქაუტაძის კარიერა „აიაქსში" ძალიან ცუდად დაიწყო. როგორც ESPN-ის ჟურნალისტი კრისტიან ვილაერტი იტყობინება, „ვალვაიკთან" მატჩში, რომელიც 83-ე წუთზე მასპინძელთა მეკარის უმძიმესი ტრავმის გამო შეწყდა, მონაწილეობაზე უარი ქართველმა ფეხბურთელმა თავად თქვა.**

ვილაერტის თქმით, მას შემდეგ, რაც მიქაუტაძემ და ჩუბა აკპომმა გაიგეს, რომ ისევ თადარიგში იქნებოდნენ, თამაშზე უარი თქვეს. ქართველს და ინგლისელს მორის სტეინი მარჯვენა გარემარბის ან 10-იანის პოზიციაზე მოიაზრებს და მათ გამოყენებას ფორვარდად არ აპირებს, სადაც ბრაიან ბრობის ენდობა. მიქაუტაძე და აკპომიც ფორვარდები არიან და მათ მწვრთნელს უთხრეს, რომ ურჩევნიათ სკამზე ისხდნენ, ვიდრე სხვა პოზიციაზე ითამაშონ, რადგან ამას უბრალოდ აზრი არ აქვს.

გიორგი მიქაუტაძემ „აიაქსში" ჯერ მხოლოდ ორჯერ ითამაშა, ბოლო სამი თამაში კი სათადარიგოთა სკამზე დარჩა... არადა, მისთვის ეს სეზონი დიდებულად დაიწყო და ლიგა 1-ის სამ ტურში 2 გოლი და 1 საგოლე პასი მიითვალა.

◉ ტატამზე

# უძლიერესი შემადგენლობით

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების შემადგენლობა ევროპის ჩემპიონატისთვის ცნობილია.**

მთავარი მწვრთნელის, **ლაშა გუჯეჯიანის** მიერ 7 წონაში 9 ძიუდოისტი შეირჩა, შესაბამისად, ორი წონა გაორდა – 90 და +100 კგ. აქვე ვთქვათ, რომ ჯერ უცნობია, თუ რა შემადგენლობით იქნება საქართველო წარმოდგენილი ევროპის ჩემპიონატზე ქალთა შორის, ვაჟების შემადგენლობა კი ასეთია:



გიორგი სარდალაშვილი – 60 კგ, ვაჟა მარგველაშვილი – 66 კგ, ლაშა შავდათუაშვილი – 73 კგ, ტატო გრიგალაშვილი – 81 კგ, ლაშა ბექაური – 90 კგ, ლუკა მაისურაძე – 90 კგ, ილია სულამანიძე – 100 კგ, გელა ზაალიშვილი – +100 კგ, გურამ თუშიშვილი – +100 კგ.

აქვე გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატი 3-5 ნოემბერს საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში გაიმართება.

◉ პატივი

# პირველი ქართველი



**პირველად ისტორიაში, ფიბა-ს სამუშაო კომისიაში საქართველოს წარმომადგენელი შეიყვანეს. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ვიქტორ სანიკიძე მსოფლიო კალათბურთის მმართველი ორგანიზაციის საშეჯიბრო კომისიის წევრი გახდა.**

სანიკიძის აღნიშნულ კომისიაში შესაყვანად წარდგინება მანილაში, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მოხდა, რაც ფიბა-სგან მოსული ოფიციალური წერილით ახლა დადასტურდა.

წერილში აღნიშნულია, რომ საშეჯიბრო კომისიაში სანიკიძის არჩევა მოხდა კალათბურთისადმი მისი ერთგულების, ამ სფეროში გამოცდილებისა და საჭირო უნარების ფლობის გათვალისწინებით.

ფიბა-ს საშეჯიბრო კომისია თავის მხრივ ოთხ ქვეკომისიას აერთიანებს: კაცთა ეროვნული ნაკრებების, ქალთა ეროვნული ნაკრებების, ახალგაზრდული ნაკრებებისა და კლუბების. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კლუბების ქვეკომისიის წევრი იქნება, რომელიც პერიოდულად შეიკრიბება და საერთაშორისო ტურნირებთან და კლუბებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებს.

საკონტინენტო საკალათბურთო ორგანიზაციაში ქართველებს აქამდეც უმუშავიათ და ფიბა-ევროპის კომისიებში ახლაც არიან ჩვენი ფედერაციის წარმომადგენლები, თუმცა ფიბა მსოფლიოში ვიქტორ სანიკიძე პირველი ქართველი იქნება.

◉ ოვალური ბურთი

# ვიბრძოლეთ, მაგრამ...



**ავსტრალიასთან წინასწარ გამოტირებული და პორტუგალიასთან მოულოდნელად წაგების ტოლფას ფრედ დასრულებული მატჩების შემდეგ საფიქრებელი იყო, რომ ლევან მაისაშვილი ფიჯისთან საფრანგეთში მიმდინარე სარაგბო მსოფლიო თასის ჯგუფური რაუნდის მესამე ტურის შეხვედრას კარდინალურად შეცვლილი შემადგენლობით ჩაატარებდა. ასეც მოხდა, თუმცა რამდენიმე ბორჯღალოსანი ბორდოს სტადიონზე ტრავმების გამო ვერ დაეხმარა პარტნიორებს.**

### საქართველოს ნაკრები

**ხაზი:** 15. მირიან მოდებაძე. 14. აკაკი ტაბუცაძე. 13. დემურ თაფლაძე. 12. გიორგი კვესელაძე (მან მცირედით დაშავებული კაპიტნის მერაბ შარიქაძის ნაცვლად ითამაშა). 11. დავით ნინიაშვილი (მან ამჯერად ფრთაზე გადაინაცვლა და საკუთარი ფულბეკის პოზიცია მოდებაძეს დაუთმო). 10. ლუკა მატკავა. 9. ვასილ ლობჟანიძე.

**შერკინება:** 1. მიხეილ ნარიაშვილი (მან 75-ე კეპი მოიხვეჭა, აქედან მე-6 – კაპიტნის ამპლუაში). 2. თენგიზ ზამთარაძე (ახალგაზრდა კვაჭს პირველად ანდეს ადგილი სასტარტო თხუთმეტეულში). 3. ბექა გიგაშვილი. 4. ლაშა ჯაიანი. 5. კოტე მიქაუტაძე. 6. მიხეილ გაჩეჩილაძე (მან, როგორც ფლანკერმა, სადებიუტო ბრძოლა გამართა). 7. ბექა საღინაძე. 8. თორნიკე ჯალაღონია (მან დამტვრეული ბექა გორგაძე შეცვალა).

**მარქაფა:** 16. ლუკა ნიორაძე. 17. ნიკა აბულაძე. 18. ირაკლი აფციაური (იგი ტრავმირებული ლუკა ჯაფარიძის ნაცვლად გამოიძახეს). 19. ნოდარ ჭეიშვილი. 20. ლუკა ივანიშვილი. 21. გელა აფრასიძე. 22. თედო აბჟანდაძე. 23. თორნიკე კახოიძე.

### საქართველო – ფიჯი 12:17

**პირველი ტაიმი 9:0**

ეს ის შემთხვევაა, როცა მიუხედავად წაგებისა, სასაყვედურო ბევრი არაფერია – ტრადიციისამებრ, ერთი ტაიმი დიდებულად ვიომეთ, მაგრამ ისედაც გადავსებულ ლაზარეთს ზამთარაძე და ჯაიანი რომ დაემატნენ, მთლად უთანაბრო ძალებით მოგვიწია მრისხანე მეტოქესთან გამკლავება. სამწუხაროდ, საკუთარ შეცდომებსაც მოვუხშირეთ და ჯგუფში საბოლოოდ ჩავრჩით.

◉ ოკეანის გაღმა

# სეზონის ტრანსფერი

**ნბა-ს რეგულარული სეზონის სტარტამდე 1 თვით ადრე წლის ტრანსფერი განხორციელდა: ამიერიდან პორტლენდის 32 წლის სიმბოლო დემიენ ლილარდი მილუოკიში იანის ანტეტოკუნმპოს მხარდამხარ ითამაშებს, ანუ ბაქსი მის ხანგრძლივ კარიერაში მხოლოდ მეორე კლუბი იქნება!**



ტრეილ ბლეიზერსის ყველა დროის საუკეთესო სნაიპერი შარშან საშუალოდ მატჩში 32 ქულასა და 7 პასს აგროვებდა, გამორჩეულ შეხვედრაში კი ჰიუსტონს 71(!) ქულა ჩაუგდო.

ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩების 7-გზის მონაწილემ 2019 წელს ძველი კლუბი დასავლეთ კონფერენციის ფინალში გაიყვანა, ახალ გუნდში გადასვლის შემდეგ კი ბუკმეკერებმა მილუოკი ნბა-ს ახალი სეზონის მთავარ ფავორიტად მიიჩნიეს მოქმედ ჩემპიონ დენვერის ნაცვლად.

**კენდრიკ პერკინსი** (სპორტული ანალიტიკოსი, 2008 წლის ნბა-ს ჩემპიონი ბოსტონ სელტიქსის შემადგენლობაში): „მილუოკის სისტემაში ლილარდის მოთავსება და განსაკუთრებით იანისთან შეთამაშება ისეთივე დამანგრეველი იქნება, როგორც თავის დროზე შაკილ ონილისა და კობი ბრაიანტის დუეტი. ფსონს ვდებ იმაზე, რომ ისინი დამდეგ ჩემპიონატს მოიგებენ".

# კიბერთაღლითობის ახალი სქემა ამოქმედდა: როგორ დავიცვათ თავი?!



**თუ მობილურ ტელეფონზე მიიღეთ მოკლეტექსტური შეტყობინება, რომ „გათამაშებაში მოიგეთ სპეციალური ქულები და გასანაღდებლად სპეციალურ ბმულზე გადასვლაა საჭირო“, მაღალი ალბათობით, კიბერთაღლითების პოტენციური მსხვერპლი ხართ. ხოლო თუ ბმულზე გადახვედით, ნამდვილად მსხვერპლთა რიგებში გადაინაცვლეთ, რადგან მითითებულ ბმულზე გადასვლის შემდეგ შესაძლებელია როგორც მომხმარებლის პირადი საბანკო ინფორმაციის მოპოვება, ისე ანგარიშებზე წვდომის მიღება.**

მას შემდეგ, რაც კიბერთაღლითობის ამა თუ იმ სქემის შესახებ ხდება ცნობილი და მომხმარებლები სიფრთხილის ზომებს იღებენ, თაღლითები ახალ მიდგომებს მიმართავენ და ამჯერადაც მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე. თაღლითობის ხსენებული ახალი სქემა რამდენიმე დღეა ამოქმედდა, თუმცა როგორც ირკვევა, მას უკვე ბევრი დაზარალებული ჰყავს. ტრადიციულად მოპარული თანხის მოცულობა 50-დან 500 ლარამდე მერყეობს.

**„ძალიან ხშირად ადამიანები ტყუვდებიან და ამ შემთხვევაშიც გვყავს დაზარალებულები, რომელთაც, მათ შორის, ჩვენს ორგანიზაციასაც მომართეს: სამწუხაროდ, გაბრიყვდნენ, გადავიდნენ ბმულზე და შემდეგ თანხები დაკარგეს. პატარა თანხებს იმიტომ იპარავენ, რომ შესაძლოა ვიღაცამ ამას არ მიაქციოს ყურადღება, თუ SMS-სერვისი არ აქვს ჩართული, ან ყურადღებით არ არის. ასეთ შემთხვევაში კი მათ (კიბერთაღლითებს) შეუძლიათ, სისტემატიურად გააგრძელონ თანხის მოპარვა“,** – ამბობს „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე გიორგი კეპულაძე.

კეპულაძის ხედვით, ამ შემთხვევაშიც ძალიან მნიშვნელოვანია სამართალდამცველების როლი – სწრაფად და ეფექტურად უნდა გამოიძიონ მსგავსი საქმეები, რათა ერთის მხრივ, პასუხისგებაში მისცენ დამნაშავეები, მეორეს მხრივ, იყოს ერთგვარი პრევენცია:

**„მესმის, რომ კიბერდანაშაულთან ბრძოლა ძალიან რთულია, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც მიაწოდა შესაბამისი აღჭურვილობა, რათა მას მუშაობა გაუადვილდეს. აქტიურად უნდა ხდებოდეს ამგვარი პირების დაკავება და შემდეგ მედიისთვის ინფორმაციის მიწოდება, რადგან ეს შემდგომი შემთხვევების პრევენციაა“.**

**სპეციალისტები მომხმარებლებს მსგავსი შემთხვევების თავიდან ასარიდებლად რამდენიმე მნიშვნელოვან რჩევას აძლევენ:**

- **მოვერიდოთ საეჭვო შეტყობინებებით მიღებულ ბმულზე გადასვლას;**
- **დანაზოგს ნუ შევინახავთ იმ ბარათზე, რომელსაც ინტერნეტში ვიყენებთ;**
- **პირადი მონაცემები არ გავაზიაროთ – არ შევიყვანოთ ინტერნეტ ბანკის და საბარათე მონაცემები, უნდა გვახსოვდეს, რომ თაღლითებს ყალბ ვებ-გვერდზე გადავყავართ;**
- **თუკი მოვტყუვდით, მყისიერად დავბლოკოთ საბანკე ბარათი და გამოვცვალოთ ინტერნეტბანკის პაროლი;**
- **მივმართოთ შსს-ს.**

სპეციალისტები მომხმარებლებს აფრთხილებენ, რომ რაც უფრო ციფრული ხდება სამყარო, მსგავსი შემთხვევები კიდევ უფრო მოიმატებს და მასთან გასამკლავებლად სიფრთხილე და ინფორმირებულობა მნიშვნელოვანია.

## სანთელი

# გახსენება რაფიელ ჩიმიშკიანი



**ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ – დიდო კაცო, დიდო ჩემპიონო და ნამდვილო თბილისელო. ყველას გვახსოვხარ, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო –**

**რაფო ჩიმიშკიანო!**

**მუდამ ნათელში იყოს შენი სული!**

მაკარონის ფაბრიკის პატარა კოლექტივის სახელით:

**ი. ოსიპოვი და ზ. კუპრაშვილი**

# „გაუპატიურება, ძალადობა და მუქარა“



**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული ლ.მ. გაუპატიურების, ძალადობისა და მუქარის ბრალდებით დააკავეს,** – ინფორმაციას შს სამინისტრო ავრცელებს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, სხვადასხვა დროს, ნაცნობ გოგონებთან, მათი ნების საწინააღმდეგოდ დაამყარა სქესობრივი კავშირი, ასევე, მათ არაერთხელ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებული მათ მიმართ მუქარასაც ახორციელებდა. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ლ.მ. ბრალდებულის სახით დააკავეს. დანაშაული 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“.**

# 28 წლის კრიმინალმა ახალი დანაშაული ჩაიდინა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობის ბრალდებით 28 წლის, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირი დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ 28 სექტემბერს ბრალდებულმა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგოლესუბანში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 23 წლის ა.ს.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბრალდებული ჩოხატაურში, სოფელ გოგოლესუბანში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

# იტალიის კუნძულთან ბორანს ცეცხლი გაუჩნდა



**იტალიის სანაპირო დაცვამ ბორნიდან, რომელსაც გვიან ღამით ცეცხლი გაუჩნდა, 177 ადამიანი გადაარჩინა. მათ შორის არის ეკიპაჟის 27 წევრი.**

ბორანი იტალიის კუნძულ ლამპედუზადან პორტო-ემპერდოკლესკენ გადაადგილდებოდა.

სანაპირო დაცვის მიერ გავრცელებულ განცხადების მიხედვით, ბორანს 83 მიგრანტი გადაჰყავდა. მათივე ცნობით, ყველა მგზავრი გადაყვანილია სანაპირო დაცვის გემზე და დანიშნულების ადგილზე მიემგზავრება, გარდა სამი მგზავრისა, რომლებიც უკან, ლამპედუზაში ბრუნდებიან.

# 2-3 ოქტომბერს საქართველოში წვიმა, სეტყვა და ქარია მოსალოდნელი

**გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2 ოქტომბერს, ღამის საათებში აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში, ხოლო დღისით საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე მოსალოდნელია წვიმა ელჭექით, ზოგან ძლიერი.**

სინოპტიკოსების ცნობით, ასევე შესაძლებელია სეტყვა და ქარის გაძლიერება. ამასთან, 3 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რეგიონებში შენარჩუნდება წვიმა, ზოგან ძლიერი, ხოლო შავი ზღვის სანაპირო რაიონებსა და კოლხეთის დაბლობზე შესაძლებელია ძალიან ძლიერი. ზღვაზე 3-4-ბალიანი შტორმული ღელვაა ნავარაუდევი.

**„მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექებმა საქართველოს მდინარეებზე შესაძლებელია, წყლის დონეების მნიშვნელოვანი მატება, პატარა მდინარეებზე წყალმოვარდნები, ხოლო მთიან ზონებში მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს“,** – აცხადებენ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

# საშინელი სიცხე ბრაზილიაში

**ბრაზილიის ტეფეს ტბაში გვალვისა და სიცხის გამო ასობით დელფინი დაიღუპა. ასევე დაიღუპა ათასობით თევზი.**

ბოლო დღეებში ტბაში წყლის ტემპერატურამ 39 გრადუსს მიაღწია, ხოლო ტბის სიღრმე მინიმალურ დონეზეა ნალექის სიმცირის გამო. ბრაზილიაში ბოლო წლებში სერიოზული კლიმატური კატაკლიზმები დაფიქსირდა. ქვეყნის სამხრეთ ნაწილში წვიმები და წყალდიდობაა, ხოლო ჩრდილოეთ ბრაზილიაში – გვალვა.

მტკნარი წყლის დელფინი ინია წითელ წიგნში, როგორც გადაშენების პირას მყოფი სახეობაა შეტანილი, მსოფლიოში მტკნარი წლის დელფინების მხოლოდ 6 სახეობაა შემორჩენილი.

# ნიუ იორკში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

**ნიუ-იორკში წყალდიდობის შედეგად დატბორილია გზატკეცილები და ქუჩები, ნიუ იორკის ცნობილი პარკის ნაწილიც. განსაკუთრებით რთული ვითარებაა მანჰეტენში, ბრუკლინსა და ქუინსში. წყალდიდობის გამო დახურულია ლაგუარდიას აეროპორტის ერთ-ერთი ტერმინალი. შეფერხებით სრულდება ავიარეისები კენედისა და ნიუარკის საერთაშორისო აეროპორტებშიც. მეტროპოლიტენის ოთხ ხაზზე მატარებლების მოძრაობა შეჩერდა, კიდევ 12 ხაზზე მგზავრთა გადაადგილება ნაწილობრივ შეზღუდულია.**

საგანგებო სამსახურების წარმომადგენლებმა დატბორილი სარდაფებიდან ექვსი ადამიანი ამოიყვანეს. მსხვერპლის ან დაზარალებულების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

წყალდიდობის გამო ნიუ იორკში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს. ნიუ იორკის მერმა, ერიკ ადამსმა შესაბამის განკარგულებას ხელი უკვე მოაწერა და მოქალაქეებს მაქსიმალური სიფრთხილისკენ მოუწოდა. საგანგებო სამსახურები ნიუ იორკის მცხოვრებლებს მოუწოდებენ, მანქანით გადაადგილებისგან თავი შეიკავონ და ხიფათს მოერიდონ. როგორც მედია წერს, ნიუ იორკში ერთ კვირაზე მეტია, გადაუღებლად წვიმს. სინოპტიკოსების ცნობით, მსგავსი რაოდენობის ნალექი ნიუ იორკში 1882 წლის შემდეგ არ მოსულა.



# საქართველო გაისად მსოფლიო ტურიზმის დღეს უმასპინძლებს



2024 წელს საქართველო მსოფლიო ტურიზმის დღის მასპინძელი ქვეყანაა. ეს ტიტული ჩვენს სამშობლოს ქალაქ რიადში გადმოეცა, სადაც 2023 წლის მსოფლიო ტურიზმის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება მიმდინარეობს.

**„გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის წევრმა ევროპულმა ქვეყნებმა ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოგვიცხადეს და შედეგად, მსოფლიო ტურიზმის დღეს საქართველოს გადმოეცა 2024 წლის მსოფლიო ტურიზმის დღის მასპინძელი ქვეყნის ტიტული. ამით საქართველომ დიდი აღიარება კიდევ ერთხელ მოიპოვა“** – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ მარიამ ქვრივიშვილმა, რომელიც საუდის არაბეთში 2023 წლის მსოფლიო ტურიზმის დღის ღონისძიებაში მონაწილეობს. ღონისძიებას ასევე ესწრება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე.

# ბათუმის ბოტანიკური ტურისტული „ოსკარის“ მფლობელი გახდა




**ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა გაიმარჯვა ევროპის წამყვანი ბოტანიკური ბაღის ნომინაციაში მსოფლიო ტურიზმის Warld Travel Awards-ის ღონისძიებაზე, რომელიც ცნობილია როგორც ტურისტული „ოსკარი“.**

ბათუმმა 28-29 სექტემბერს უმასპინძლა საერთაშორისო ტურისტულ ფორუმს, სადაც Warld Travel Awards-ის დაჯილდოების გალა-ცერემონია გაიმართა. ბათუმის ბოტანიკური ბაღი ევროპის წამყვანი ბოტანიკური ბაღის ნომინაციაში მადრიდის, ედინბურგის, ბერლინისა და ევროპული ქვეყნების სხვა ცნობილ ბოტანიკურ ბაღებს უწევდა კონკურენციას.

აღსანიშნავია, რომ Warld Travel Awards-ის ვერსიით ბათუმი კვლავ დარჩა ევროპის ყველაზე მზარდ ტურისტული მიმართულებად.

საქართველომ Warld Travel Awards-ს პირველად უმასპინძლა. ღონისძიებას, რომელიც 28-29 სექტემბერს ბათუმში გაიმართა, ტურიზმის ინდუსტრიისა და მედიის 300-ზე მეტი წარმომადგენელი 24 ქვეყნიდან დაესწრო. აღსანიშნავია, რომ წელს ღონისძიება 30-ე იუბილეს აღნიშნავს.

# ურმის ფორმის ბიბლიოთეკა ვაკიჯვარში



**გურიის სოფელ ვაკიჯვარში სკვერის ბიბლიოთეკა გაიხსნა,** – ინფორმაციას ეროვნული ბიბლიოთეკა ავრცელებს.

**სოფელ ვაკიჯვარში მდებარეობს საოცარი ადგილი, „ჩამო“ რომელიც ქართულ-იაპონურმა ოჯახმა გურიიდან მიშა არობელიძემ და ჩიკა ოგიმ დააფუძნეს.**

**„ჩამო“ სოფელ ვაკიჯვარში, ბახმაროს მთის მისადგომებთან ელოდება სტუმრებს. ეს გახლავთ ადგილი, სადაც ერთ სივრცეშია გაერთიანებული გლემფინგი და კემპინგი. „ჩამოს“ კონცეფცია მდგომარეობს შემდეგში : ყოველ ადამიანს აქ სტუმრობით შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მეტად მდიდარი და ფერადი ემოციების განცდის. ისიამოვნონ კულტურითა და ხელოვნებით, აქტივობებით ბუნების წიაღში.**

სწორედ ასეთ საოცარ ადგილას ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივითა და გიორგი კეკელიძის ფონდის მხარდაჭერით, გაიხსნა სკვერის ბიბლიოთეკა. **„ურემის ფორმის ბიბლიოთეკა პირველია, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკისა და ჩვენი ფონდის პარტნიორობით გაიხსნა. საგანმანათლებლო პროგრამა „ეკვილიბრიუმის“ ფარგლებში, სკვერის მომდევნო ბიბლიოთეკა რაჭა-ლეჩხუმის მხარეში გაიხსნება“...**

# გორში საქართველოს სახალხო არტისტის შალვა მოსიძის ვარსკვლავი გაიხსნა



**ვარსკვლავის გახსნას წინ გორის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი უძღოდა. ფესტივალის დასკვნით საღამოს შალვა მოსიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.**

სტუმრებმა თეატრის ფოიეში შალვა მოსიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოგამოფენა დაათვალიერეს. საღამოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

ფესტივალი გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ორგანიზებითა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, გაიმართა.

შალვა მოსიძე 1967 წლიდან გორის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგად მუშაობდა. მან 1970 წელს გორის ქალთა გუნდი დააარსა. ის არის საგუნდო დირიჟორი, ქორმაისტერი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ემერიტუს-პროფესორი. მიღებული აქვს შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის პრემიები, ღირსების ორდენი, წმინდა გიორგის ოქროს ორდენი და სხვა.

# გიორგი ფოცხიშვილის კიდევ ერთი გაბრწყინება

**ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის წამყვანმა მოცეკვავემ გიორგი ფოცხიშვილმა მოკლე დროში მეორე მსოფლიო აღიარება მოიპოვა.**

გიორგი ფოცხიშვილი საცეკვაო სპექტაკლ „მწვანე მაგიდა“ მთავარი როლის ძლიერი ინტერპრეტაციისთვის, მსოფლიო ბალეტის და თეატრის პრესტიჟული პრიზის მფლობელი გახდა.

ცნობილი ქართველი მოცეკვავის, გელოდი ფოცხიშვილის შვილიშვილი, ფოცხიშვილების საცეკვაო დინასტიის წარმომადგენელი, 22 წლის გიორგი ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის მოცეკვავეთა ძირითად შემადგენლობაშია და ბოლო პერიოდის განმავლობაში კარიერულ საფეხურზე წინ გასაოცარი სისწრაფით მიიწევს. ჯერ ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის ახალგაზრდულ შემადგენლობაში მიიწვიეს, შემდეგ კი, ძალიან სწრაფ ტემპში, ერთ-ერთ წამყვან მოცეკვავედ იქცა.



სულ ახლახან კი საამაყო გენების ქართველ ბალეტის მოცეკვავეს, პრესტიჟული ჯილდოს ალექსანდრა რადიუსის პრიზი მიენიჭა, როგორც საუკეთესო მოცეკვავეს.

**მოამზადა**
**რუსუდან ქობულიამ.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჯავახიშვილის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 ოქტომბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6783; ევრო - 2.8422;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2852;
100 რუბლი - 2.7425; თურქული ლირა - 0.0977;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5744;
1000 სომხური დრამი - 6.7446

**ამინდი 2 ოქტომბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +12, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე +23 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +16, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე +22 |
| თბილისი: | ღამე | +15, | დღე +24 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge